ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 29 ივლისი, 2021 №138 (8667) ფასი: 60 თეთრი

„გიორგი კეკელიძე ორსულ ქალს შიშველი ფოტოების გაგზავნას მთხოვდა“

გვ.5

რას აბრალებენ მწერალს

„ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებიდან გავიდა

გვ.2

„ვაფრთხილებდი ოპოზიციურ პარტიებს, „ქართული ოცნება“ გადამგდებია“

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

გვ.4

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოს უკვე აქვს საერთაშორისო სტაქიანი თაღლითის იარლიყი“

„ოცნებას“ ორი რეიტინგული პერსონა ჰყავს — ღარიბაშვილი და კალაძე“

გვ.4

სოსო შატბერაშვილი: „ვგმობ ნებისმიერ თავდასხმასა და ძალადობას ჟურნალისტებზე“

ვახტანგ კალოიანი: „თენგიზ ცერცვაძის ბრალდებებს 1937 წლის სტილში არ ვუპასუხებ“

„იმედი მაქვს, საველე ჰოსპიტლები არ დაგვჭირდება“

გვ.3

„ტიკარაძემ არაპროფესიონალური განცხადება გააკეთა“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან შეხვედრა გამართა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 ბადრი ესებუას ძმას, ბიძინა ესებუას, 4 წელი მიესაჯა

3 ბოკერიას კლინიკამ ანტივაქსერი მედმა სამსახურიდან გაუშვა

5 მთვრალი მძღოლებისთვის ახალი სანქციები დაწესდება

4 „ზაფხულის ტურისტული სეზონი გაფუჭებულია“

6 აშშ-მ და რუსეთმა იარაღის კონტროლზე მოლაპარაკება დაიწყეს

„ვაფრთხილებდი ოპოზიციურ პარტიებს, „ქართული ოცნება“ გადამგდებია“

დავით ჭიჭინაძე: „ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც შარლ მიშელის შეთანხმების ანულირებას ეხება.

– ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, რატომ გამოაცხადა „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმება ანულირებულად? შეიძლება თუ არა, ეს გადაწყვეტილება უკავშირდებოდეს „ოცნების“ შიდაკვლევებს, სადაც მათ ცუდი შედეგი აქვთ?

– რა თქმა უნდა, ერთ-ერთი და ალბათ უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს შიდაკვლევებია, რომლებიც აჩვენებს, რომ „ქართულ ოცნებას“ სავალალო შედეგები აქვს. მათ არ აქვთ არავითარი პოტენციალი, რომ არჩევნების წინ მაინც გააუმჯობესონ მაჩვენებლები.

„ქართული ოცნება“ ვერაფერს სთავაზობს ამ ქვეყნის მოქალაქეებს, ადამიანებს, რომლებსაც უკეთეს სახელმწიფოში სურთ ცხოვრება. ცხოვრების დონის ამაღლების ნაცვლად, პირიქით ხდება, სულ უფრო რთულდება ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება. ხალხი დღითი დღე ღატაკდება. ამას ემატება ის სავალალო ეპიდვითარება, რომელიც ყოველდღიურად რთულდება. ამას ვერაფერს უპირისპირებს ხელისუფლება. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს ამ ქვეყნის მოსახლეობის პრობლემაა.

რეალურად, ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია და ამას პირველ რიგში თავად „ქართული ოცნება“ ხვდება. თუმცა მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ამ შეთანხმების გაუქმება არაფერს ნიშნავს. „ქართული ოცნება“ ვეღარაფერს გააკონტროლებს ამ ქვეყანაში.

ყოველთვის ვაფრთხილებდი მიშელის დოკუმენტის ხელმომწერ ოპოზიციურ პარტიებს, რომ „ქართული ოცნება“ გადამგდებია. საინტერესოა, ეს ოპოზიცია, ახლა ამ სამარცხვინო გადაწყვეტილების შემდეგ, რა სახით შეხედავს და დაელაპარაკება იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთი შემართებით ელოდნენ ოპოზიციის ერთობით გამარჯვების მოპოვებას! ამ ოპოზიციურმა პარტიებმა დაარღვიეს ეს ერთობა, რომელზეც ასეთი მოლოდინი ჰქონდა ხალხს, სწორედ ამ დოკუმენტისთვის რომ მოეწერათ ხელი. ახლა ყველა ხედავს, რაც გაუკეთა მათაც და მთელ ქვეყანასაც „ქართულმა ოცნებამ“. რომ გვეუბნებოდნენ, „ისტორიული შეთანხმება“, შეთანხმება, რომელიც ყველაფრად ღირდა, – ახლა გამოვიდნენ და გვითხრან, რა ღირდა ეს შეთანხმება. ხომ გადაახიეს თავზე?! ახლა იხტუნაონ!

– საერთაშორისო პარტნიორების თვალში როგორ იქნება ეს გადაწყვეტილება აღქმული? მიშელი, რომელიც ამდენჯერ ჩამოვიდა საქართველოში, რა ეტყვის ხელისუფლებას?

– ვის აინტერესებს საერთაშორისო პარტნიორები?! როგორ წარმოგიდგენიათ, ბიძინა ივანიშვილს შარლ მიშელი და საერთაშორისო პარტნიორები აინტერესებს?! აუტანეს მას შიდაკვლევის შედეგები და მიიღეს ეს გადაწყვეტილება, თან, ვერც იმას ხედავენ, რომ მათივე ხელდასხმული ოპოზიციით რამე გამოვა, ვისთანაც გარიგებაში არიან და მიიღეს ეს გადაწყვეტილება. „ქართული ოცნება“, როგორც ჩანს, სამომავლოდ საერთოდ კონტურებს ვერ ხედავს პოლიტიკაში.

რაც შეეხება ოპოზიციის უმეტეს ნაწილს, რომელიც დღეს პარლამენტშია შესული, ისინიც ახლა ამ მდგომარეობაში არიან. მათაც კარგად იციან, რომ ვერც ერთ მომავლის პარლამენტში ვერ მოხვდებიან და ამიტომ „ქართული ოცნების“ ამ გადაწყვეტილებასთან, თავზე რომ გადაახიეს ეს ხელმოწერა, არანაირი წინააღმდეგობა არ ექნებათ.

– ვადამდელ არჩევნებზე ისაუბრეთ. რამდენად რეალურია?

– ვადამდელი არჩევნები არასდროს არის ხელისუფლების კეთილი ნება. რიგგარეშე არჩევნები ყველა ქვეყანაში მხოლოდ ხალხის ნებაა. ვადამდელი არჩევნები ხელისუფლების უუნარობით ინიშნება. ხელისუფლება კარგად რომ მართავდეს ამ ქვეყანას, ადამიანებს რომ ჰქონდეთ პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობა, სახელმწიფოს იმედი და უკეთესი მომავლის რწმენა, თავში აზრად არავის მოუვიდოდა საუბარი არც ვადამდელ არჩევნებზე და არც არჩევნების გაყალბებაზე. როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ ხელისუფლება მხოლოდ ქვეყნის ძარცვითა და ნეპოტიზმით არის დაკავებული, როდესაც ხედავენ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში მათ, უბრალოდ, მომავალი არ აქვთ, ცხადია, ვადამდელ არჩევნებზეც იქნება საუბარი და მისი დანიშვნის მოთხოვნითაც გამოვლენ.

ხელისუფლება როდესაც ხალხს არ ემსახურება და პირიქით ხდება, ყველა ინსტიტუტი და ყველა სახელმწიფო ჩინოვნიკი მათ ემსახურება, თან ხალხის გადასახადებით დაქირავებული ჩინოვნიკები, რა თქმა უნდა, ამას ხალხი ვერ აიტანს. შეიძლება, დღეს ითმინოს, ხვალ, მაგრამ სულ არ მოითმენს. ეს გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა. აქამდე გვამადლიდა, ყველაფერს ჩემი ფულით ვაკეთებო, ახლა თავის საქმეს ამ ხალხის ფულით აკეთებს. ბოლოს და ბოლოს, აქამდეც მივედით. ამას აუცილებლად მოჰყვება ვადამდელი არჩევნები. როდესაც ხელისუფალი ხალხის ნებას არ ექვემდებარება, მერე უკვე ხალხი კონსტიტუციურ უფლებას იყენებს.

„ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებიდან გავიდა

„ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებას ანულირებულად აცხადებს. შესაბამისი განცხადება პარტიის ლიდერებთან ერთად, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გუშინ, 28 ივლისს, საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა.

კობახიძის თქმით, 19 აპრილის შეთანხმებამ საკუთარი თავი ამოწურა.

– გუშინ 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერიდან 100 დღე შესრულდა. ამ დროის განმავლობაში, „ქართული ოცნება“ პირნათლად ასრულებდა დოკუმენტის თითოეულ პუნქტს:

საპატიმრო დატოვა დოკუმენტში მოხსენიებულმა ორივე კრიმინალმა;

პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გართულდა პარლამენტის წევრისთვის იმუნიტეტის მოხსნის პროცედურა;

ორი მოსმენით მივიღეთ კანონი ამნისტიის შესახებ და ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს დავუტოვეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო კანონის მესამე მოსმენით მიღებასა და შესაბამისად, ევროკავშირის მედიაციით ხელმოწერილი დოკუმენტის სრულფასოვან აღსრულებაში;

განვახორციელეთ ფუნდამენტური საარჩევნო რეფორმა, არსებითად გავზარდეთ ოპოზიციის წარმომადგენლობა საარჩევნო კომისიებში, შემოვიღეთ საარჩევნო უბნების სულ მცირე 10 პროცენტის გადათვლის გარანტია, დავაწესეთ 100-მეტრიანი რადიუსი საარჩევნო უბნების გარშემო და ა.შ.;

დავაინიციირეთ კონსტიტუციური კანონპროექტი საარჩევნო ბარიერის, საპარლამენტო ფრაქციების შექმნისა და გენერალური პროკურორის არჩევის შესახებ;

19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად, თავი შევიკავეთ არსებული წესების მიხედვით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევისგან, დავაპაუზეთ პროცესი, ვენეციის კომისიის საკვანძო რეკომენდაციების მიხედვით გადავსინჯეთ ორგანული კანონის შესაბამისი ნორმები და ახალი საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე ავირჩიეთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები;

დავიწყეთ მსჯელობა სასამართლო რეფორმაზე, რომელიც, დოკუმენტის თანახმად, მომავალი წლის ივნისამდე უნდა განხორციელებულიყო;

არაერთგზის განვაცხადეთ, რომ კომიტეტის თავმჯდომარეებისა და დელეგაციის ხელმძღვანელის თანამდებობებს ოპოზიციას შემოდგომაზე გავუნაწილებდით, როგორც ამას 19 აპრილის შეთანხმება ითვალისწინებდა.

„ქართული ოცნების“ კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლობით აღსავსე მოქმედების მიუხედავად, ბარიერგადალახული რვა ოპოზიციური პარტიიდან ოთხმა პარტიამ, ოპოზიციონერი პარლამენტარების უმრავლესობამ დღემდე არ მოაწერა ხელი 19 აპრილის პოლიტიკურ შეთანხმებას, რომლის უმთავრესი მიზანი ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება იყო.

როდესაც საუბარია პოლარიზაციაზე, ყველას კარგად მოეხსენება, რომ პოლარიზებული პოლიტიკური მოცემულობის ორ სხვადასხვა პოლუსზე დგანან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. როდესაც ამ ორი პარტიიდან მხოლოდ ერთს აქვს შეთანხმებაზე ხელი მოწერილი, ბუნებრივია, პოლარიზაცია ვერ შემცირდება და მით უმეტეს ვერ დასრულდება.

იმ ოპოზიციური პარტიების ჯამური ელექტორალური მხარდაჭერა, რომლებმაც 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწერეს, მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, რაც პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებისთვის, ბუნებრივია, საკმარისი არ არის.

შეგახსენებთ, რომ გასული 100 დღის განმავლობაში, 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელის არმომწერმა პარტიებმა და პოლიტიკოსებმა განახორციელეს ვიზიტები ბრიუსელსა და ვაშინგტონში, გამართეს შეხვედრები სენატორებთან და ევროპარლამენტარებთან, ვაშინგტონისა და ბრიუსელის აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

ამავე პერიოდში საქართველოს ესტუმრნენ შარლ მიშელი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი. თუმცა, ამ ფონზეც კი, ოპოზიციის რადიკალურმა ნაწილმა უარი თქვა 19 აპრილის შეთანხმების ხელმოწერაზე. გარდა ამისა, შეთანხმების ხელმომწერი ერთ-ერთი პარტია – „ლელო“ უხეშად არღვევდა 19 აპრილის შეთანხმებას, მათ შორის მან მხარი არ დაუჭირა შეთანხმებით გათვალისწინებულ საარჩევნო რეფორმას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ რადიკალური ოპოზიციური პარტიებისთვის 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელის არმოწერა ერთგვარი თვითმიზანი იყო. მათ ამოძრავებდათ ერთადერთი მიზანი, დალოდებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და გაემეორებინათ პოლიტიკური საბოტაჟი, როგორც კი „ქართული ოცნება“ 43-პროცენტიან საარჩევნო ზღურბლს გადალახავდა.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამ პარტიებმა თვეების მანძილზე არ აიღეს კარვები რუსთაველის გამზირიდან. ამასვე ადასტურებს ის ამორალური და აგრესიული კამპანიაც, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია მისივე კუთვნილი ტელევიზიების საშუალებით „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ დღემდე აწარმოებს. რადიკალური ოპოზიცია აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ არჩევნების წინ პოლიტიკური პოლარიზაცია არათუ შემცირდეს, არამედ, პირიქით, უკიდურესად გაღრმავდეს. 19 აპრილის შეთანხმების ცალკეული პუნქტებიც რადიკალური ოპოზიციის მიერ პოლარიზაციის შემდგომი გაღრმავებისთვის გამოიყენებოდა.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ 19 აპრილის შეთანხმების ცალმხრივი ერთგულება ჩვენი პარტიისთვის შეურაცხმყოფელია და ამგვარ უპრინციპობას ჩვენ ამომრჩეველი არ გვაპატიებს.

19 აპრილის შეთანხმებამ, მოკლევადიან პერსპექტივაში, პოლიტიკური პროცესების განვითარებაში დადებითი როლი შეასრულა. ოპოზიცია იძულებული გახდა, შეეწყვიტა საბოტაჟი, რომლითაც ის ქვეყნის ინტერესებს აზიანებდა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს მისი ძალისხმევისა და მხარდაჭერისთვის.

თუმცა დღეს, დოკუმენტის ხელმოწერიდან 100 დღის თავზე, აშკარაა, რომ მან თავისი მისია შეასრულა და თავი ამოწურა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატების ნახევარზე მეტს შეთანხმებაზე ხელი დღემდე არ მოუწერია, ვხედავთ, რომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები საჭიროდ არ თვლიან, რადიკალურ ოპოზიციას დოკუმენტის ხელმოწერა და მის აღსრულებაში მონაწილეობა მკაცრად მოსთხოვონ.

ქვეყანა უკვე ახალი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების რეჟიმზე გადავიდა. თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება იმ პოლიტიკური შეთანხმების ფონზე, რომელსაც მთავარი ოპოზიციური პარტია ხელს არ აწერს, ქვეყნის ინტერესებისთვის დამაზიანებელია.

ამ ვითარებაში „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური შეთანხმების ამოწურულად გამოცხადება უალტერნატივო ნაბიჯად გვესახება.

19 აპრილის შეთანხმების ანულირების ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა, რა ბედი ეწევა შეთანხმების იმ პუნქტებს, რომელთა შესრულება ჯერ არ დაწყებულა ან ჯერ არ დასრულებულა. განვმარტავთ თითოეულს:

ჩვენ ჯერ კიდევ 19 აპრილამდე, ვიდრე დოკუმენტს ხელი მოეწერებოდა, განვაცხადეთ, რომ სასამართლო და საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებები ყოველგვარი პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერის გარეშეც განხორციელდებოდა. შესაბამისად, ეს პროცესი გაგრძელდება: სასამართლო რეფორმა მომავალი წლის ზაფხულამდე დასრულდება, ხოლო ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პროცედურისა და საპარლამენტო სუვერენიტეტის პრინციპის შესაბამისად, სიღრმისეულად განიხილება და მიიღება;

შემოდგომაზე დასრულდება ამნისტიის შესახებ კანონის მიღება;

ჯანსაღი პოლიტიკური კონსულტაციების საფუძველზე, განაწილდება საპარლამენტო თანამდებობები იმ ოპოზიციურ პარტიებზე, რომლებიც კონსტრუქციული თანამშრომლობის მზაობას დაამტკიცებენ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„იმედი მაქვს, საველე ჰოსპიტლები არ დაგვჭირდება“

ვახტანგ კალოიანი: „თენგიზ ცერცვაძის ბრალდებებს 1937 წლის სტილში არ ვუპასუხებ“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოში სულ უფრო და უფრო მძიმდება კოვიდვითარება. ბოლო რამდენიმე დღეა, ინფიცირების ყოველდღიური მაჩვენებელი 3.000-ს აჭარბებს, ხოლო გარდაცვალებულთა რაოდენობა 20-ზე მეტია. ამ ფონზე თითქოს ნელ-ნელა აქტიურ ფაზაში შედის ვაქცინაცია და ამ დროს ჯანდაცვის მინისტრი ეკა ტიკარაძე აცხადებს, რომ ვაქცინაცია თავდაცვის მთავარი საშუალება არ არის.
რის ბრალია არსებული მდგომარეობა? როგორ უნდა გავიგოთ ეკა ტიკარაძის განცხადება და რა პასუხი აქვს თენგიზ ცერცვაძის განცხადებებზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ წევრი ვახტანგ კალოიანი საუბრობს.

– ვხედავთ, როგორც მძიმდება ვითარება კორონავირუსთან დაკავშირებით. უკვე 3.000-ს ასცდა ინფიცირების ყოველდღიური მაჩვენებელი. რის ბრალია ეს, არასწორი მართვის თუ რასთან გვაქვს საქმე?

– ეს არის დელტა შტამის ფონზე არასწორი რეგულაციებისა და მართვის ბრალი, ასევე ვაქცინაციის დაბალი რაოდენობისა და რეგულაციების გამოყენების უმართაობის ძალიან სერიოზული პრობლემა. ეს არის ამ ყველაფრის შედეგი, ერთად აღებული.

– რა უნდა გააკეთონ ამის მოსაგვარებლად, იმავე ნიღბის გამოყენებასთან დაკავშირებით?

– ხელისუფლებამ უნდა მართოს ვითარება. მან პირველ რიგში ნიღბის ტარების საკითხი უნდა მოაგვაროს. ასევე უნდა მოაგვაროს პანდემიის კონტროლი. მოაგვაროს ის, რომ რეალური ტესტირება მოხდეს. ასევე უნდა მოაგვაროს მასობრივი ტესტირების საკითხი, რათა მოქალაქეებმა გაიკეთონ ტესტი დროულად, ინფიცირებული ადამიანები დროულად გამოვლინდნენ და მერე მოხდეს მათი თვითიზოლაცია. თუ საჭიროა, მოხდეს კარანტინში გადაყვანა და ამაში ხელშეწყობა. ეს არის ძირითადი გამოსავალი იმისათვის, რომ ტემპი შევანელოთ. ამის პარალელურად გვჭირდება ძალიან აქტიური ვაქცინაცია, რომელიც აგვისტოს ბოლოს ან სექტემბერში უკვე ხელშესახებ შედეგებს მოგვცემს განსაკუთრებით მძიმე ავადობისა და სიკვდილიანობის თვალსაზრისით. ეს ნაბიჯები სწრაფად არის გადასადგმელი. სამწუხაროდ, დრო ცოტაა.

– ყველა სპეციალისტი, ყველა ექსპერტი საუბრობთ ვაქცინაციაზე, თუმცა გუშინ ჯანდაცვის მინისტრისგან უცნაური განცხადება მოვისმინეთ, რომელიც ამბობს, რომ ყველაზე ეფექტური საშუალება პირბადე და დისტანციის დაცვაა, ხოლო იმუნიზაცია დამატებითი ბერკეტია. ეს განცხადება როგორ უნდა გავიგოთ?

– ეს არის არაკვალიფიციური, არაპროფესიონალური განცხადება. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით და თავიდანვე ვამბობდით, რომ ვაქცინაცია ნაკლებად იცავს ინფექციისგან, მაგრამ ძალიან მაღალი ხარისხით გვიცავს მძიმე მიმდინარეობისგან და გარდაცვალებისაგან. შესაბამისად, როდესაც მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, მეორე ნაწილიც უნდა თქვას. კერძოდ კი ის, თუ რატომ ვიკეთებთ ვაქცინას. ეს ხდება იმისათვის, რომ გადარჩნენ ჩვენი მოქალაქეები.

– იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ანტივაქსერული მისწრაფებები მოსახლეობაში, რამდენად სწორი გზავნილია ეს და დამატებითი არგუმენტი ხომ არ არის მათთვის, რომ უარი თქვან აცრებზე?

– საქართველოს მოქალაქეების ერთ მილიონს აცრა დღესვე უნდა და, სამწუხაროდ, ეს ვერ არის უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ეს განცხადება კიდევ ერთხელ არის მანიშნებელი არათანმიმდევრული პოლიტიკისა და, ასევე შეიძლება ითქვას, რომ არაკვალიფიციური მართვისაც.

– საკმაოდ მაღალი გვაქვს კორონავირუსის შედეგად გარდაცვალების მაჩვენებელი ერთ მილიონ მოსახლეობაზე. ამ მხრივ „მოწინავე“ ადგილებს ვიკავებთ. ეს რის ბრალია?

– ეს არის სისტემური პრობლემების

„ტიკარაძემ არაპროფესიონალური განცხადება გააკეთა“

ბრალი, როგორც ჰოსპიტალურ სექტორში და კლინიკური ჯგუფისა და ჯანდაცვის სამინისტროს არაადეკვატური მუშაობის, ასევე ეს არის მასობრივი გავრცელების ბრალი, რის შეკავებაც ხელისუფლებამ ვერ შეძლო.

– ანუ სამედიცინო სექტორში კვალიფიკაცია გვაკლია?

– კვალიფიკაცია ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ სისტემური პრობლემაა როგორც ტექნიკური, ისე ინფორმაციული მხარდაჭერის თვალსაზრისით.

– საინფორმაციო კამპანია ვაქცინებთან დაკავშირებითაც რომ არ არის, ესეც ამის დადასტურებაა?

– დიახ, მათ შორის ესეც.

– თენგიზ ცერცვაძემ მოგიძღვნათ პოსტი სოციალურ ქსელში. ალბათ გაეცნობოდით მას და რა პასუხი გაქვთ თქვენ?

– ბრალდებებზე 1937 წლის სტილში არანაირ კომენტარს არ ვაკეთებთ. ეს მნიშვნელოვანია. ჩვენი ინტერესია, რომ რაც შეიძლება ნაკლები ინფიცირებული იყოს და რაც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მედიკამენტი პაციენტისთვის, რაც შეიძლება დაცული იყოს პაციენტი ჰოსპიტალში. დანარჩენი პოლიტიკანობისა და პერსონალური პასკვილებისთვის პასუხზე დროს არ დავკარგავთ.

– მან კონკრეტულ მედიკამენტზე – ტოცილიზუმაბზე ისაუბრა. მან თქვა, თითქოს თქვენ ჯერ ამბობდით, რომ ექსპერიმენტებს ატარებდა ცერცვაძე ადამიანებზე და ახლა ამბობთ, რომ არ იყენებენ მას. ამაზეც არ უპასუხებთ?

– როგორც უკვე გითხარით, პერსონალურ ბრალდებებს არ ვპასუხობთ. ყველა კონკრეტულ ბრალდებას უკვე გაეცა პასუხი. გაგაცანით, რომ გუშინ გახდა ხელმისაწვდომი ეს მედიკამენტი, სამწუხაროდ, მრავალი თვის დაგვიანებით. დღესვე გაზარდეს ტესტირებების რაოდენობა, რითაც ცერცვაძემ აღიარა, რომ ის თხოვნა და მითითება, რომელიც ჩვენ გვქონდა, იყო ადეკვატური.

– უკვე საველე ჰოსპიტალებზეც ალაპარაკდნენ ჯანდაცვის სამინისტროში. ხომ არ გვაქვს ის ვითარება, რომ იმაზე მძიმე სურათი მივიღოთ, რაც წინა ტალღების დროს იყო?

– ჯერჯერობით არა. ჩვენ შეგვიძლია 12.000 საწოლის მობილიზება და ერთდროულად ამ რაოდენობის პაციენტის მოთავსება კლინიკებში. რაც შეეხება საველე ჰოსპიტლებს, ეს უნდა იყოს განხილვის საგანი და ჯანდაცვის სამინისტრო ამ ყველაფრისთვის უნდა ემზადებოდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ამის საჭიროება არ დადგება.

– რეგულაციების გამკაცრებაც ხომ არ გველოდება?

– ამ ეტაპზე საკმარისი იქნება არსებული რეგულაციების ადეკვატური დაცვა. მხედველობაში მაქვს დახურულ სივრცეში ნიღბის გამოყენებაც, რაც მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით.

– აღსრულება რომ მოხდეს ზედმიწევნით სწორად, მაგას გულისხმობთ?

– დიახ, რასაკვირველია, აღსრულებას ვგულისხმობ, რეალური აღსრულება უნდა მოხდეს. ეს არის გამოსავალი ამ ეტაპზე. დამატებითი რეგულაციების განსაკუთრებულ საჭიროებას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. მთავარია, რომ ის ღონისძიებები, რომლებზეც ვისაუბრეთ, სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდეს.

ნიკა გვარამია: „ვუბრუნდებით მწვავე კრიტიკული გაშუქების რეჟიმს“

გუშინ, 28 ივლისს, „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო განცხადება გააკეთა.

– ბოლო ერთი თვე მედიისთვის, ჩვენი არხისთვის მათ შორის, აღმოჩნდა უმძიმესი და უმწვავესი. მედიამ თავისი თანმიმდევრული და გუნდური მუშაობით, თავისი სოლიდარობით მაგალითი აჩვენა ყველას, თუ როგორ უნდა იბრძოლო საკუთარი უფლებებისთვის. მართალია, ჩვენ ვერ მოვახერხეთ ხელისუფლებაში მყოფი დამნაშავეების გადაყენება, მაგრამ მოვახერხეთ უფრო მეტი, ჩვენ შევასრულეთ მედიის მთავარი ფუნქცია, ჩვენ ზედაპირზე ამოვიტანეთ „ქართული ოცნების“ ნამდვილი სახე.

28 ივლისის განცხადებით „ქართულმა ოცნებამ“ ოფიციალურად გააფორმა საქართველოში დიქტატურა, რომელიც მანამდეც არსებობდა, მაგრამ ან ვერ ვამჩნევდით, ან არ ვიმჩნევდით, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, მაგრამ დღეს უკვე არანაირი სივრცე არ არსებობს დამატებითი ინტერპრეტაციებისთვის. აღარანაირი სივრცე არ არსებობს საკუთარი თავის მოტყუებისთვისაც კი, დღეს სავსებით ცხადია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს „ქართული ოცნების“ დიქტატურასთან, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი გადაწყვეტილებით, ამიერიდან არხი სპეციალურ რეჟიმში მუშაობას ასრულებს და კვლავ გადადის მწვავე კრიტიკული გაშუქების რეჟიმზე:

– ჩვენ გამოვდივართ სპეციალური რეჟიმის მდგომარეობიდან და ვუბრუნდებით მწვავე კრიტიკული გაშუქების რეჟიმს. კიდევ ერთხელ საკითხმა მიიღო მწვავე პოლიტიკური ელფერი და ეს საქმე და ბრძოლა არის პოლიტიკოსების მოსაგები. საქართველო არის პოლიტიკოსების გადასარჩენი, ეს არის მკაფიოდ პოლიტიკური ბრძოლა, რაც დღეს რუსეთთან პრაქტიკული შეერთების დეკლარაციით გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, თავისთავად ცხადია, „მთავარი არხი“, იმედი მაქვს, სხვა ოპოზიციური მედიებიც ამ პროცესში იდგებიან არა პოლიტიკური პარტიების, არამედ საქართველოსა და ქართველი ხალხის გვერდით, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ზურაბ ჯაფარიძე პარლამენტს ტოვებს

„გირჩი – მეტი თავისუფლებისთვის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტს ტოვებს. აღნიშნულის შესახებ ჯაფარიძემ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მას შემდეგ დაწერა, რაც მმართველი პარტიის საგანგებო ბრიფინგიდან გაირკვა, რომ 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების ანულირება მოხდა.

ჯაფარიძის განმარტებით, რადგან შეთანხმება უკვე აღარ არსებობს, არც „ვალდებულება არსებობს“.

„მე ვტოვებ პარლამენტს – პარლამენტში ყოფნა იყო 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოწერით ჩემ მიერ აღებული ვალდებულება. არ არსებობს შეთანხმება, არ არსებობს ვალდებულება. იზოლაციიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთხელ, ოფიციალურად მივმართავ პარლამენტს. თუ ვინმე კიდევ ვერ აცნობიერებთ რა ხდება – ასე მყარდება დიქტატურა, ნელა და თავხედურად.

როგორ არ დავუშვათ ეს – ეს უნდა იყოს ერთადერთი საფიქრალი დღეს ნებისმიერი წესიერი ადამიანისთვის“, – წერს ჯაფარიძე.

ტიკარაძე: „ვაქცინა მთავარი არ არის. მთავარია პირბადე და დისტანცია“

ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, ქვეყანაში მთავარი პრობლემა იმუნიზაცია არ არის, რადგან, მისი დაკვირვებით, იმუნიზაციის თვალსაზრისით წარმატებულ ქვეყნებშიც ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი მაინც მაღალია.

– ქვეყანაში მთავარი პრობლემა იმუნიზაცია არ არის, ვინაიდან იმუნიზაციის პროცესშიც კი ხშირია ინფიცირება. ჩვენ ვაკვირდებით სხვადასხვა ქვეყანას, რომელიც ძალიან წარმატებული იყო იმუნიზაციაში, თუმცა იქ ინფექციის გავრცელება მაინც არის. ყველაზე წარმატებული ინსტრუმენტი იმისათვის, რომ ჩვენ პანდემიას ვებრძოლოთ, არის თვითორგანიზება, ნიღბის ტარება და სოციალური დისტანცია, ხოლო იმუნიზაცია არის ის დამატებითი ბენეფიტი, რომელიც თითოეულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს და ეს პროცესი საქართველოში დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე მაღალხარისხოვანი ვაქცინით და თქვენ ხედავთ, რომ მოსახლეობას ამისთვის ხელმისაწვდომობა აქვს. ყველაზე ეფექტური მართვა არის, როდესაც საზოგადოებას გააჩნია მაღალი თვითორგანიზების უნარი, – თქვა ტიკარაძემ.

ბოკერიას კლინიკამ ანტივაქსერი მედმა სამსახურიდან გაუშვა

ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური კლინიკიდან გაათავისუფლეს მედმა, რომელიც ფეისბუქში ანტივაქსერულ განცხადებებს ავრცელებდა.

საავადმყოფოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი უმცროსი მედპერსონალის, მედმის მიერ სოციალურ ქსელში გუშინ გავრცელებულ ვიდეომიმართვასა და კლინიკის სახელით გაკეთებულ ანტივაქსერულ განცხადებას მკაცრად ემიჯნება.

მათი თქმით, ეს განცხადება არის „არაპროფესიონალური, რადგან მსოფლიოში წამყვანი ორგანიზაციები პანდემიასთან ბრძოლის ერთადერთ საშუალებად მხოლოდ ვაქცინაციას აღიარებენ და ამაზე არა ერთი მნიშვნელოვანი კვლევაა ჩატარებული“.

„ივ. ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი შეშფოთებას გამოთქვამს ადმინისტრაციისგან დამოუკიდებლად, კლინიკის სახელით გაკეთებული განცხადების თაობაზე, რომელიც რთულ გლობალურ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში ვაქცინაციის წინააღმდეგ არის მიმართული. ასევე, მიუღებელია ფაქტი, როდესაც ვიდეომიმართვაში კლინიკის თანამშრომელი აკნინებს სამედიცინო პერსონალის იმ უმრავლეს ნაწილს, რომელიც ვაქცინაციის პროცესს პანდემიის დამარცხების ერთადერთ გზად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ ივ. ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი პანდემიის პირველივე ტალღიდან ჩაერთო კოვიდინფიცირებული პაციენტების მართვაში, სადაც გლობალური ვირუსის პირისპირ აღმოჩენილი მედპერსონალი წელიწადზე მეტია, 24-საათიან რეჟიმში იბრძვის ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.

ჰოსპიტლის ადმინისტრაცია გმობს და ემიჯნება მსგავსი ტიპის განცხადებას, მიუღებლად მიაჩნია თანამშრომლობა პირთან, რომლის განცხადებაც რთულ პერიოდში მყოფი სამედიცინო კოლეგების დაკნინებისკენაა მიმართული და, ამავდროულად, შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საშიშროებას“, – ვკითხულობთ განცხადებაში.

კლინიკის მედმამ ვიდეო სოციალურ ქსელში გუშინ, 28 ივლისს, გაავრცელა, რომელშიც ის ვაქცინის არაეფექტურობაზე საუბრობდა. ასევე აკრიტიკებდა აცრილ ექიმებს. ვიდეო ფეისბუქმა უკვე მონიშნა ცრუ ინფორმაციად.

„ოცნებას“ ორი რეიტინგული პერსონა ჰყავს – ღარიბაშვილი და კალაძე“

სოსო შატბერაშვილი: „ვგმობ ნებისმიერ თავდასხმასა და ძალადობას ჟურნალისტებზე“

მარიამ მჭედლიშვილი

ხელისუფლება ირწმუნება, რომ ტელეკომპანია „მთავარის“ სარეკლამო სააგენტოში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გეგმურ შემოწმებას ატარებს. ამის არ სჯერათ ამ ტელევიზიის მენეჯერებს, ასევე — სხვა მედიისა და მესამე სექტორის წარმომადგენლებს. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

სოსო შატბერაშვილი:

– ისიც მოვისმინეთ, რომ რამდენიმე ტელევიზია შავი ფულით ფინანსდება. თუ ხელისუფლებას ასეთი ეჭვი ან ინფორმაცია ჰქონდა, აქამდე სად იყო?! საქმე ისაა, რომ გრძელდება პროცესების ხელოვნური დაძაბვა და დაპირისპირება მმართველ პარტიასა და იმ ოპოზიციას შორის, რომელსაც „ოცნება“ მთავარ ოპოზიციად მიიჩნევს. ესეც ამის შემადგენელი ნაწილია. მოგვწონს რომელიმე ტელევიზია თუ არა, გვიზიდავს თუ არა გინება ტელეეკრანზე და ვენდობით თუ არა მის ინფორმაციას, ეს სხვა საკითხია. ხელისუფლებას რაღაცისთვის მაინცდამაინც ახლა მოუნდა შემოწმება და ხმაური.

– 5 და 6 ივლისის შემდეგ რა სიტუაციაა ქვეყანაში?

– სანამ ამაზე გადავალ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ვგმობ ნებისმიერ თავდასხმასა და ძალადობას, მათ შორის, ჟურნალისტებზე, გადამღებ ჯგუფებზე. მათ იმ დღეებში სასტიკად გაუსწორდნენ. ლექსო ლაშქარავა, რომელიც სასტიკად იყო ნაცემი, მოგვიანებით გარდაიცვალა. ჩემთვის ამორალური იყო მისი სახელის გამოყენება.

– რაზე საუბრობთ?

– ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ქალმა, ნაცმოძრაობის ყოფილმა წევრმა, განაცხადა, რომ ლექსო ლაშქარავას სიკვდილი უნდა გამოიყენონ. წარმოგიდგენიათ? ცხედარი სახლში ესვენა, ეს პოლიტიკოსები კი ამაზე გეგმებს აწყობდნენ. ნაციონალებს ხანდახან თავიანთი ზრახვები წამოსცდებათ ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ასე იყო. ყოფილი ნაციონალი ხშირად ნაციონალად რჩება. ისიც კი ითქვა, რომ ექსპერტიზის დასკვნას მნიშვნელობა არა აქვს. საერთოდ, 5-6 ივლისს მოხდა პროვოკაციები და სიბინძურე. გადამღები ჯგუფების გალახვის გარდა, ორჯერ ჩამოხსნეს და დაწვეს ევროკავშირის დროშა. ამ ყველაფერმა ძალიან დააზიანა საქართველო. ნებისმიერი დაძაბულობა და დაპირისპირება, დარბევა და დროშების დაწვა, დაძაბულ ფონზე ტელევიზიებში შესვლა მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. 5 ივლისს ორივე დაპირისპირებული მხარე ცუდად იქცეოდა. თავიდან არც ლგბტ-თემი თმობდა და არც ჯგუფები, რომლებმაც ჟურნალისტები დაარბიეს.

– ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ არის?

– პრემიერმა მოუწოდა ლგბტ-საზოგადოებასა და მის დამცველებს, მოეწყოთ მარში გამოფენის ტერიტორიაზე, რომელიც შემოღობილია ან გაეუქმებინა ღონისძიება. მათ მაინცდამაინც რუსთაველის ძეგლთან და 9 აპრილის მემორიალთან ჩავლა უნდოდათ. შემდეგ მარში გადაიფიქრეს. ისე მოხდა, რომ გავეშებული ხალხი ჟურნალისტებს დაერია.

– ზოგიერთი აცხადებს, რომ ხელისუფლება ეკლესიას ამოეფარა.

– მე ის ვიცი, რომ მორწმუნემ არ უნდა იძალადოს. ირაკლი ღარიბაშვილმა სწორი განცხადება გააკეთა. ზოგადად, ხელისუფლებას ვადანაშაულებ იმაში, რომ ნაცმოძრაობასთან ერთად ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას და აზარალებს ქვეყანას. ხალხის ყურადღება გაჭირვებიდან გადააქვთ სხვა თემებზე.

– საარჩევნო მზადება დაძაბულ ფონზე მიმდინარეობს? თბილისის მერის არჩევნებზე რას იტყვით?

– დაახლოებით ოცამდე კანდიდატი იქნება. მათ შორის ყველაზე ძლიერია კახი კალაძე. მის კონკურენტად განვიხილავ ნიკა მელიას. არ გამოვრიცხავ მეორე ტურს. „ქართული ოცნებისა“ და მისი წევრების ამომრჩეველი არა ვარ, თუმცა დარწმუნებული ვარ კახა კალაძის გამარჯვებაში. ის ახლაც მერია და მართლა მუშაობს. ის არის რეიტინგული. „ოცნებას“ ამჟამად სულ ორი რეიტინგული პერსონა ჰყავს – კალაძე და ღარიბაშვილი. კალაძეზე გითხარით, სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში კი „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება.

– შეიძლება, 43%-იანი ბარიერი ვერ გადალახოს?

– შეიძლება, ვერ გადალახოს. „ოცნებას“ კადრებში ძალიან უჭირს. ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დაასახელეს და შემდეგ აირჩიეს. არც სალომე ზურაბიშვილი ყოფილა რეიტინგული და პოპულარული. ის ახლაც იწვევს გაღიზიანებას თავისი არაგონივრული განცხადებებითა და სკანდალური შეწყალებებით.

– თქვენ ღარიბაშვილის რეიტინგზე საუბრობთ, ამ დროს ბევრი მოითხოვს მის გადაყენებას.

– პრემიერების ხშირ ცვლას მიჩვეული ვართ. მიმაჩნია, რომ ეს არ არის სტაბილურობის ნიშანი. პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას დიდი დრო უნდა. „ქართული ოცნება“ 2011 წელს შეიქმნა და ვფიქრობ, რომ ის ბოლომდე ფორმირებული არაა. მას არ ჰყავს ღირსეული ხალხი, რომლებსაც შეიყვანდა საარჩევნო სიებში, დაასახელებდა კანდიდატებად და უპრობლემოდ მოიგებდა არჩევნებს. კალაძე გამონაკლისია. როცა კანონი ირღვევა, როცა ქვეყნის ინტერესი ზიანდება, ჯობია, ყველამ დროზე თქვას სათქმელი, თორემ, რა გამოდის? ჯერ ხელს უწყობ შავი ფულის მედიაში დაბანდებას, შემდეგ კი იმუქრები. თუ ანაკლიის პორტს ხელს უშლიან, დროულად განაცხადე! საუბედუროდ, ჩვენ ხშირად ვხდებით სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვის მომხრეები. ამაში მონაწილეობს როგორც „ქართული ოცნება“, ისე ნაციონალური მოძრაობა და მისი გარემოცვა. კეზერაშვილმა რომ უკანონო ფული იშოვა და გაიტანა ქვეყნიდან, ცნობილია. ეს კაცი თავდაცვის მინისტრადაც კი დანიშნა სააკაშვილმა. ხელისუფლებამ ჯერ მასზე და მის ფინანსებზე თვალი დახუჭა, შემდეგ კი, როცა დასჭირდა, ყველაფერი გაიხსენა. ეს სწორი არ არის.

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოს უკვე აქვს საერთაშორისო სტაჟიანი თაღლითის იარლიყი“

საქართველოს უკვე აქვს საერთაშორისო სტაჟიანი თაღლითის იარლიყი, – ასე აფასებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ მიერ შარლ მიშელის შეთანხმების ანულირების შესახებ განცხადებას.

როგორც მარგველაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, მას შეუძლებლად მიაჩნია „რუსეთის წაგულიანების გარეშე ასეთი თავხედური ნაბიჯის გადადგმა“.

„ეს არის ძალიან სერიოზული დარტყმა ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე და საერთაშორისო იმიჯზე. ეს არის სახელმწიფო, რომელიც არც ერთი ტიპის ხელშეკრულებას არ იცავს და უკვე საერთაშორისო სტაჟიანი თაღლითის იარლიყი აქვს. რანაირად უნდა იცხოვროს ამ სახელმწიფოში მოქალაქემ, როგორ უნდა დადოს ბიზნესში, სამართლებრივ საკითხებში ხელშეკრულებები, რადგან გარანტი, სახელმწიფო არის არაერთგზის სტაჟიანი საერთაშორისო თაღლითი.

მიზეზი არის ერთის მხრივ ნათელი სურათი იმასთან დაკავშირებით, რომ უბრალოდ, ყველა რესურსის მობილიზაციის ფონზეც კი, მათ შორის დარღვევების ფონზე, რომელიც შარშან განხორციელდა, ახლოს ვერ მიდის უზურპატორი ძალაუფლება იმ ბარიერთან, რომელსაც ხელი მოაწერა. ჩემი აზრით, ამის უკან დგას კიდევ შეგულიანება და მხარდაჭერა უფრო სხვა ძალის, რომელიც აძლევს სხვა გარანტიას ამ ჯგუფს, რომ უტიფრად შეინარჩუნებენ ხელისუფლებას ძალით, მოტყუებით, შანტაჟით, ჟურნალისტების ცემით. ასეთი ძალა არის მარტო ჩრდილოეთით და ასეთი ძალა არის მარტო რუსეთი. რუსეთის წაგულიანების გარეშე ასეთი თავხედური ნაბიჯის გადადგმა როგორც ქართული საზოგადოების მიმართ, ასევე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიმართ, პოლიტიკაში ჩაუხედავი პერსონებისგანაც კი შეუძლებლად მიმაჩნია“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ამასთან, მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ლოგიკური იქნება სანქციების დაწესება იმ პირების მიმართ, ვინც ხელშეკრულება დაარღვია.

„დღეს, როდესაც შარლ მიშელის დოკუმენტი გაითელა ფეხქვეშ ისევე, როგორც გაითელა ევროკავშირის დროშა, მე უკვე აღარ ვიცი, რას მოველოდე. აქამდეც ბევრად უფრო მკაცრ პოზიციას მოველოდი ევროკავშირისგან. ამ დოკუმენტის უკან დგას ევროკავშირისა და კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის პოლიტიკური წონა. როდესაც ვიღაც უგულებელყოფს ამ დოკუმენტს, ის ვეღარ იქნება შენი „ვიზავი“. მასთან უკვე დოკუმენტზე შენს მომავალ ხელმოწერებს აზრი აღარ აქვს. თუ პოლიტიკოსებს შორის დაირღვა ერთსა და იმავე დოკუმენტზე ხელმოწერის პროგრამტივა, შესაბამისად, დაირღვა ნებისმიერი საფუძველი ერთმანეთთან ლაპარაკის. როგორ შეიძლება მომავალში გაესაუბრონ ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და ევროკავშირის წარმომადგენლები, როდესაც მათ მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე წინაპირობა გაქრა. შესაბამისად, რაღაზე შეიძლება, ისინი ოდესმე ესაუბრონ ერთმანეთს?!“ – განაცხადა მარგველაშვილმა.

მარგველაშვილის თქმით, პირველი ნაბიჯი, აბსოლუტურად ბუნებრივი, არის ის, რომ პოლიტიკურმა ოპოზიციამ დატოვოს პარლამენტი. მისივე შეფასებით, ეს არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია.

„ზაფხულის ტურისტული სეზონი გაფუჭებულია“

ტურისტული კომპანია Caucasus Travel-ის დამფუძნებელი საბა კიკნაძე არსებული რეგულაციების, მათი აღსრულების მექანიზმებისა და გაუარესებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ზაფხულის ტურისტულ სეზონს ნეგატიურად აფასებს და ამბობს, რომ ზაფხულის ტურისტული სეზონი გაფუჭებულია.

გადაცემა „საქმის კურსში“ ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რეალურად 2020 წელს სექტორისთვის დაწესებული რეგულაციების აღსრულებას არავინ აკონტროლებდა და დღეს რეგულაციების დაცვა ტურისტულ სეზონს ვეღარ უშველის.

„ტურიზმის 2019 წელთან შედარებაზე შეგვიძლია ხელი ავიღოთ, რადგან ეს ცა და დედამიწაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნესი პრაქტიკულად არ გვაქვს, ან ექსპერიმენტულ ნიშნულზე გვაქვს, როდესაც 1.000-ის მაგივრად 10-ზე ვლაპარაკობთ.

წარმოიდგინეთ, რომ ხართ მოგზაური და გაქვთ მოგზაურობის საშუალება, არანაირ ლოგიკაში არ ზის ის, რომ წითელი ზონის ქვეყანაში გადაწყვიტოთ მოგზაურობა, მათ შორის მეზობელი ქვეყნებიდანაც, რომლებსაც მოგზაურობა ეიოლებათ და ა.შ.

რეგულაციების აღსრულება, რომელიც 2020 წელს იქნა მიღებული სასტუმროებისთვის, რესტორნებისთვის და ა.შ. არავის უცდია. აქედან გამომდინარე, ყველაფერი დანარჩენი უნდა წარმოვიდგინოთ. ვფიქრობ, რომ რეგულაციები ამ სეზონს აღარ უშველის. ეს სეზონი ბაზრების მიხედვით რიგ შემთხვევაში – 0-5%-ზე, რიგ შემთხვევაში კი 15-20%-მდე მაჩვენებელზე იქნება. ესეც ალბათ ისეთი ბაზრების შემთხვევაში, როგორებიცაა აღმოსავლეთი ევროპა, მეზობელი ქვეყნები და ა.შ. მაგრამ ეს ნამდვილად არ ეხება ისეთ ბაზრებს, როგორებიცაა დასავლეთ ევროპა, იაპონია და მაღალი ხარჯვისუნარიანი სტუმრები. ნუ დავაბრალებთ მხოლოდ ჩვენს მდგომარეობას, რადგან იქაც, ეპიდვითარების მიუხედავად, არავინ მიისწრაფვის ისე შორს და წითელ ქვეყანაში წასვლისკენ, როგორიც საქართველოა. ფაქტობრივად, აგვისტოს რეზერვების ნაწილი გადააქვთ, ნაწილი კი უქმდება. გადატანილი ჯავშნებიც უქმდება ხოლმე. ჩვენი კომპანიის მაგალითზე არ ველით, რომ 2019 წლის მაჩვენებლების 5%-ზე მეტი დატვირთვა გვექნება“, – განაცხადა საბა კიკნაძემ.

მისთვის გაუგებარია ზამთრის სეზონის ჩაგდება და ხელისუფლების მიერ ჯარიმებზე გამოცხადებული ამნისტია, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

„ზამთრის სეზონის ჩაგდება და ის, რაც გავაკეთეთ, დიდი შეცდომაა. რა დასკვნა გამოვიტანეთ ამ ყველაფრიდან? – ვერაფერი. არგუმენტი, რომ ზაფხულში უკეთესად ვყოფილიყავით, დემაგოგიურია. ზაფხულსა და ზამთარს შორის დიდი მანძილია, გაზაფხულზე კიდევ ვითომ ჭკუასთან მდგომი ნაბიჯები იდგმებოდა, მაგრამ რეალობა დავამთავრეთ პოლიტიკური გადაწყვეტილებით – იმის გამო, რომ გვინდა ვაამოთ საზოგადოებას, მეორე ხელით საწამლავი მივუტანეთ და ეპიდემიოლოგიური წესრიგის დარღვევის საშუალება მივეცით. ამნისტიას ვგულისხმობ.

ამასთან, არ ვართ ვაქცინირებული. ადამიანებს რომ ვცრით, ამასაც ხომ დრო უნდა – ახლა რომ ვაქცინას გაიკეთებ და მეორე დოზა სამ კვირაში უნდა გაიკეთო, შედეგს კიდევ 3 კვირა უნდა ელოდო და მორჩა ეს ზაფხული. ასე რომ, სეზონი გაფუჭებულია. ჩვენი სანუკვარი ბაზარი, რომელიც მაღალ შემოსავლიანია და მაღალი ხარჯვისუნარიანი ევროპელი და დასავლელი ტურისტების მოწვევა იყო, ისიც წყალში ჩაგვეყარა და ისინიც პრაქტიკულად არ არიან, თუ არიან, ალბათ 1%“, – განმარტა Caucasus Travel-ის დამფუძნებელმა

100.000 მოსახლეზე ყოველდღიურად COVID-ით გარდაცვლილთა რაოდენობით საქართველო მეთხუთმეტეა

The New York Times-ის მონაცემებით, საქართველოში ბოლო 7 დღის განმავლობაში COVID-19-ით გარდაცვალების შემთხვევების საშუალო ყოველდღიური რაოდენობაა 19.9, ხოლო 100.000 მოსახლეზე ყოველდღიურად ვირუსისგან 0.53 ადამიანი იღუპება, რითიც საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის მეთხუთმეტე ადგილს იკავებს.

100.000 მოსახლეზე ყოველდღიურად COVID-19-ით გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვით ქვეყნების რეიტინგი ასეთია:

1) ნამიბია – ყოველდღიურად 1.8 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

2) ტუნისი – ყოველდღიურად 1.4 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

3) ფიჯი – ყოველდღიურად 1.3 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

4) ბოტსვანა – ყოველდღიურად 0.97 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

5) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები – ყოველდღიურად 0.95 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

6) ომანი – ყოველდღიურად 0.83 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

7) პარაგვაი – ყოველდღიურად 0.74 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

8) კოლუმბია – ყოველდღიურად 0.67 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

9) სამხრეთ აფრიკა – ყოველდღიურად 0.65 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

10) არგენტინა – ყოველდღიურად 0.63 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

11) მიანმარი – ყოველდღიურად 0.60 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

12) კუბა – ყოველდღიურად 0.60 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

13) სეიშელი – ყოველდღიურად 0.59 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

14) ინდონეზია – ყოველდღიურად 0.56 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

15) საქართველო – ყოველდღიურად 0.53 გარდაცვლილი ადამიანი, 100.000 მოსახლეზე;

რაც შეეხება ინფიცირების მთლიან მაჩვენებელს, Worldometer-ის თანახმად, ქვეყანაში გამოვლენილი 410,830 შემთხვევის ქვეყნის მოსახლეობაზე გადაანგარიშებით გამოდის, რომ საქართველო ვირუსის კუმულატიური გავრცელებით მილიონ მოსახლეზე მსოფლიოში მეთვრამეტე ადგილს იკავებს.

ნინო ლომჯარია: „პროკურატურამ და შსს-მ ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირება დროულად უნდა მოახდინონ“

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებს, დროულად მოახდინონ რეაგირება ჟურნალისტების მიმართ 5-6 ივლისს და შემდგომ პერიოდში გამოვლენილ თითოეულ დანაშაულებრივ ქმედებასთან და სამართალდარღვევასთან დაკავშირებით და გაასაჯაროონ შედეგები.

„საგანგაშოა ბოლო პერიოდში ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის, ჟურნალისტების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევების ზრდა, რამაც 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შემდგომ, ფაქტობრივად ყოველდღიური ხასიათი მიიღო.

ამ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში საზოგადოება უკიდურესად პოლარიზებული და განსხვავებული აზრის მიმართ კიდევ უფრო შეუწყნარებელი გახდა, განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა პოლიტიკური თანამდებობის პირებს ეკისრებათ. სამწუხაროდ, მსგავსი ქმედებების დაგმობის ნაცვლად მათი მხრიდან ხშირად ვხედავთ ჟურნალისტების მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას, საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებს და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლის შემთხვევების პოლიტიკურ გამართლებას, რაც ახალისებს ძალადობრივ ფონს მედიის წარმომადგენლების მიმართ.

ამასთან, სამწუხაროდ, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ყველა მსგავს შემთხვევაზე დროული, მკაცრი და ეფექტური რეაგირება არ ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ 5-6 ივლისს ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით ამ დრომდე არ მომხდარა ორგანიზატორი პირების გამოვლენა და მათი პასუხისგებაში მიცემის მიზნით შესაბამისი ზომების მიღება, რაც დაუსჯელობის სინდრომს წარმოშობს.

აღნიშნულის შედეგად საფრთხე ექმნება ჟურნალისტურ საქმიანობას, ამასთან უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე ამან შეიძლება მსუსხავი ეფექტი იქონიოს მედიის წარმომადგენლებზე და უბიძგოს თვითცენზურისკენ, რაც დააზიანებს მედიის თავისუფლებას.

სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს თავისუფალი, პლურალისტური და კრიტიკული მედიაგარემოს სასიცოცხლო როლს დემოკრატიული საზოგადოებისთვის ისევე, როგორც მის განსაკუთრებულ ფუნქციას ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის მიმართულებით. სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა დაიცვას ჟურნალისტების, როგორც განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი პირების უფლებები და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მოუწოდებს:

საქართველოს გენერალურ პროკურატურას/შინაგან საქმეთა სამინისტროს:

დროულად მოახდინონ რეაგირება ჟურნალისტების მიმართ 5-6 ივლისს და შემდგომ პერიოდში გამოვლენილ თითოეულ დანაშაულებრივ ქმედებასთან და სამართალდარღვევასთან დაკავშირებით და გაასაჯაროონ შედეგები, მათ შორის 5-6 ივლისს ძალადობრივი ჯგუფების მოქმედებებზე მთავარი პასუხისმგებელი პირების (ორგანიზატორების) გამოვლენისა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიმართულებით;

პოლიტიკური თანამდებობის პირებს:

არ დაუშვან ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა და ჟურნალისტებზე ძალადობა, საზოგადოებას მისცენ კარგი მაგალითი, არ მოახდინონ ჟურნალისტების დისკრედიტაცია, მიუხედავად მათი კრიტიკული მოსაზრებებისა და საჯაროდ დაგმონ მათ მიმართ ჩადენილი მსგავსი ფაქტები“, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

„გიორგი კეკელიძე ორსულ ქალს შიშველი ფოტოების გაგზავნას მთხოვდა“

რას აბრალებენ მწერალს

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, მწერალ გიორგი კეკელიძეს რამდენიმე ქალი სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს.

სოფია კენჭიაშვილი ნეტგაზეტთან ამბობს, რომ კეკელიძე სისტემატურად სთხოვდა შიშველი ფოტოების გაგზავნას.

– პირველი წიგნი რომ დაიბეჭდა, „გურული დღიურები“, ამასთან დაკავშირებით მივწერე ერთხელ, მინდოდა, მეგობრისთვის მეჩუქებინა. ახალი ჩამოსული ვიყავი საქართველოში, 2014 წლის დასაწყისი იყო. ვიყიდე წიგნი და მივედი მასთან ბიბლიოთეკაში. აქედან დაიწყო: „სურათები გამომიგზავნე“. მეუბნებოდა, სექსუალური სურათები გამომიგზავნეო, ოღონდ ამას აკეთებდა ძალიან შეპარულად.

შემდეგ უკვე ღიად მეუბნებოდა, „ფლეიბოისთვის გადაიღე და ერთი ფოტო ჩემთვის რა გახდა?“. უნდოდა, რომ ნუდი (შიშველი ფოტო) გადამეღო მის წიგნთან ერთად და ზუსტად ვიცი, ერთადერთი არ ვარ, ვისაც ეს სთხოვა.

2016 წელი იყო, ფეხმძიმედ ვიყავი, მომიკითხა ჩვეულებრივად და ვუთხარი, რომ ორსულად ვიყავი. „ახლა მაინც დამანებე თავი“ – ამ განწყობით მივწერე. ფოტოებს რატომ არ მიგზავნიო, მიპასუხა. ძალიან გამიკვირდა, გეუბნება ქალი, რომ ფეხმძიმედ არის, ჰყავს ესე იგი პარტნიორი და ჩვეულებრივად უგრძელებ ისე, შენი სექსუალური ფოტოები მომეციო. არ ვუპასუხე არც მაშინ და არც შემდგომ, – ამბობს სოფია კენჭიაშვილი.

გიორგი კეკელიძემ მომხდარზე ასე დაწერა:

„ჩემს ცხოვრებაში წლების წინ (თუმცა წლებს მნიშვნელობა ნაკლებად აქვს), იყო სრულიად მიუღებელი დრო. სრულიად. ამას ვერ ვაცნობიერებდი მაშინ – ოდნავაც, მაგრამ დღეს გეტყვით პირდაპირ და უხეშად – გული მერევა იმ საკუთარ თავზე, იმ ფლირტებზე, რომელსაც შეეძლო ინტერპრეტაციის დაშვება ან გაუცნობიერებელი ზიანის მოტანა. ამას პირველ რიგში ვწერ მათთვის, ვისაც გიორგი კეკელიძე ღმერთივით კაცი ჰგონია და აქ ბევრია ასეთი. მეც ადამიანი ვარ, უამრავი შეცდომით. ძალიან ბევრით. რაც შეეხება უშუალოდ ქალებს, არაერთი მათგანისთვის წლების მერე ბოდიში მომიხდია, სწორედ ამ სიტყვით – „გულისრევა. ზოგისთვის თუ არ – ახლა ვუხდი ბოდიშს. თუმცა ძალადობრივი არაფერი ჩამიდენია. არასდროს. და ამას ვერ და არ დავიბრალებ“.

ბადრი ესებუას ძმას, ბიძინა ესებუას, 4 წელი მიესაჯა

„საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმაში ბრალდებული ბადრი ესებუას ძმას, ბიძინა ესებუას, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე ნატრული აკობიამ მიიღო.

ადვოკატ სოსო ჯანაშიას ინფორმაციით, ეს მინიმალური სასჯელია, თუმცა, მისივე თქმით, ესებუა უდანაშაულოა და მხოლოდ იმიტომ არის დაკავებული, რომ ბადრი ესებუას ძმაა.

დაცვის მხარე გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

პოლიციამ ბიძინა ესებუა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე 12 დეკემბერს დააკავა.

მის წინააღმდეგ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობდა.

ქართველ კანონიერ ქურდ დათო ჯანგიძეს კრასნოდარში 8 წელი მიუსაჯეს

საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ კრაიმის“ ცნობით, კრასნოდარში ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტი“, 37 წლის დათო ჯანგიძე, იგივე დათო „კრასნოდარსკი“ დააკავეს.

ქართველ „კანონიერ ქურდს“ კრიმინალურ იერარქიაში ყველაზე მაღალი საფეხურის დაკავების გამო კრასნოდარის მხარის სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 1 მილიონი რუბლი ჯარიმა დააკისრა.

ქართველი „კანონიერი ქურდი“, რომელიც ამ დრომდე როსტოვის ოლქის მცხოვრებია, კრიმინალური სამყაროს წევრი 2013 წელს გახდა. ის რომში ერთ-ერთი შეკრებისას „ბონათლეს“. ჯანგიძე მაშინ ყველაზე ახალგაზრდა „კანონიერი ქურდი“ იყო. ის 29 წლის გახლდათ.

სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ ჯანგიძეს კრასნოდარის მხარეში დიდი გავლენა ჰქონდა.

ახალი კანონის მიხედვით, რადგან ის კრიმინალურ იერარქიაში ყველაზე მაღალ საფეხურს იკავებს, აღარ არის საჭირო გამოიძიონ, არის თუ არა ის სხვა დანაშაულებში მონაწილე. სასამართლომ მას ჯარიმასთან ერთად თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა,

ქართველი „კანონიერი ქურდი“ დანაშაულს არ აღიარებს.

„პრაიმ კრაიმის“ ცნობით, ჯანგიძე 2009 წლიდან კრასნოდარის მხარის „მაყურებლად“ ითვლებოდა.

კრასნოდარის მხარის სასამართლომ, „კრიმინალური ავტორიტეტის“ გასამართლების გარდა, მიმართა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მაკონტროლებელ ფედერალურ ორგანოს, რათა მათ აქტიურად გააკონტროლონ საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ კრაიმის“ მუშაობა.

როგორც სასამართლოზე ითქვა, საიტზე აქტიურად ქვეყნდება ინფორმაცია „კრიმინალური სამყაროს“ წევრებისა და ამ სუბკულტურის მიმდევართა საქმიანობაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის. ამ ინფორმაციის აქტიური გავრცელება კი, შესაძლოა, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის დამაზიანებელი იყოს.

დაკავებულ მოჭიდავეებს პატიმრობა შეეფარდათ

ხობში სამართალდამცველების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის დაკავებულ ორ მოჭიდავეს – ვარლამ კვარაცხელიასა და ზაზა დათეშაძეს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლემ 27 ივლისს გამოაცხადა, დაკავებულების უფლებადამცველები კი მის გასაჩივრებას აპირებენ.

კიდევ ორი პირი, რომლებიც ინციდენტის დროს პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა, სამდღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

არაფიზიელ მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენები სამართალდამცველებს ფიზიკურად მაშინ გაუსწორდნენ, როდესაც ამ უკანასკნელებმა წესრიგისკენ მოუწოდეს.

ვერცხლისფერი ნაძვების ნაცვლად იაფფასიანი მცენარეები დარგო

1 პირის მიმართ დევნა დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი პირის მიმართ დაიწყეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც იყო ერთ-ერთი კომპანიის დირექტორი, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ცაგერის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვერცხლისფერი ნაძვის ნაცვლად, ობიექტი მოაწყო იაფფასიანი ჯიშის მცენარეებით, რის შემდეგაც ოფიციალურ დოკუმენტში შეიტანა ყალბი მონაცემები დარგული მცენარეების სახეობასთან დაკავშირებით, რა გზითაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ თანხას.

გამოძიების პროცესში ბიუჯეტზე მიყენებული ზიანი სრულად იქნა ანაზღაურებული.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

კასპთან ბრაკონიერებს 1,5 კგ ხრამულა ჩამოართვეს

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გრაკალისა და კავთისხევის მიმდებარედ, მდინარე მტკვრის კალაპოტში, მოქალაქეები გასაბერი ნავიდან, ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით, ახდენდნენ უკანონო თევზჭერას.

ამის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პრესსამსახურიდან გვაცნობეს. პრესსამსახურის ცნობით, ბრაკონიერებს მოპოვებული ჰქონდათ 1,5 კგ. ხრამულის სახეობის თევზი.

შედგა შესაბამისი აქტები. გასაბერი ნავები, ჩოგანბადეები, ელექტროშოკური აპარატები, აკუმულატორები და მოპოვებული თევზი დაილუქა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2021 წლის 01 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, უკანონო თევზჭერის 204 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 56 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

მთვრალი მძღოლებისთვის ახალი სანქციები დაწესდება

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის განსხვავებული სანქციები დაწესდება და ის მძღოლის სისხლში ეთანოლის შემცველობაზე იქნება დამოკიდებული.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენისთვის განიხილა პარლამენტის წევრების ლევან იოსელიანისა და ალექსანდრე ელისაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში:

– მძღოლის სისხლში ეთანოლის არანაკლებ 0,3 და არაუმეტეს 0,7 პრომილეს შემცველობა გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებას.

– მძღოლის სისხლში ეთანოლის 0,7 პრომილეზე მეტის შემცველობა გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.

პროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვისას ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ რიკ დემსთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს მიმდინარე აქტუალური საკითხები, მათ შორის მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე წლის 5 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებების შესახებ.

ვახტანგ გომელაურმა რიკ დემსს მადლობა გადაუხადა საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა ევროპის საბჭოსთან სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

საერთაშორისო

აშშ-მ და რუსეთმა იარაღის კონტროლზე მოლაპარაკება დაიწყეს

რუსეთისა და აშშ-ის მაღალჩინოსნებმა ჟენევაში შეხვედრა გამართეს, რომელზეც იარაღის კონტროლის საკითხზე იმსჯელეს.

აშშ-ის დელეგაციას – ქვეყნის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უენდი შერმანი, რუსეთისას კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი ხელმძღვანელობს.

მოლაპარაკებები აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებს ჯო ბაიდენსა და ვლადიმირ პუტინს შორის გასულ თვეში გამართულ სამიტზე მიღწეული შეთანხმების ნაწილია.

ივნისში ჟენევაში გამართულ სამიტზე ჯო ბაიდენი და ვლადიმირ პუტინი შეთანხმდნენ, რომ „სტრატეგიული სტაბილურობის“ მოლაპარაკებას გამართავენ, რათა „შეიქმნას საფუძველი იარაღის კონტროლისა და საფრთხის შემცირების სამომავლო ზომებისთვის“.

თურქეთში 200-ზე მეტი ავღანელი მიგრანტი დააკავეს

თურქეთის ხელისუფლებამ ეგეოსის ზღვაში დააკავა ნავი, რომელსაც 200-ზე მეტი ავღანელი მიგრანტი გადაჰყავდა.

სანაპირო დაცვის წარმომადგენლის განცხადებით, ნავში მყოფი 231 მიგრანტიდან, რომლებიც, სავარაუდოდ, იტალიისკენ მიდიოდნენ, უმეტესობა ავღანეთიდან იყო, რამდენიმე კი – სირიიდან, ირანიდან, ერიტრეადან და პაკისტანიდან.

მიგრანტები სადეპორტაციო ცენტრში გადაიყვანეს.

ბოლო კვირების განმავლობაში ავღანეთში ძალადობის გახშირებული ფაქტების ფონზე თურქეთი ავღანელი მიგრანტების ახალი ნაკადის წინაშე აღმოჩნდა. გასულ კვირაში თურქეთში 1.500 მიგრანტი დააკავეს.

ჯო ბაიდენი ფედერალური თანამშრომლების სავალდებულო აცრას აპირებს

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, მისი ადმინისტრაცია განიხილავს, მოსთხოვონ თუ არა ვაქცინაცია ფედერალური მთავრობის თანამშრომლებს.

– ამჟამად ეს საკითხი განხილვის ქვეშაა, – აღნიშნა ბაიდენმა.

მისი თქმით, ვაქცინაცია და პირბადის გამოყენება ლოქდაუნების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

– მეტი ვაქცინაცია და პირბადის ტარება იმ ადგილებში, სადაც დელტა ვარიანტი ყველაზე მეტადაა გავრცელებული, საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ისეთი სახის ლოქდაუნი, დახურვა, სკოლის დაკეტვა და შეფერხებები, როგორიც 2020 წელს გვქონდა. 2020 წლისგან განსხვავებით, ჩვენ გვაქვს როგორც სამეცნიერო ცოდნა, ასევე ინსტრუმენტები ამ დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ფედერალური მთავრობა აშშ-ის უდიდესი დამსაქმებელია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

მეგობრის საჩუქარმა ქალს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ შარლოტის მკვიდრმა ქალმა მეგობრისგან საჩუქრად ლატარიის ბილეთი მიიღო და ჯეკპოტი მოხსნა.

კარენ ურტეჩო სანდრეზმა ოჯახის მეგობრისგან მცირე საჩუქარი, მომენტალური ლატარიის ბილეთი მიიღო.

ქალმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ ამ საჩუქარმა მას ორი მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

– ბილეთს ხშირ-ხშირად ვამოწმებდი და საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – განაცხადა ქალმა.

გათამაშების გამარჯვებული ლატარიის შტაბ-ბინაში მივიდა და მთლიანი თანხის ერთიანად მიღება ამჯობინა. მან გადასახადების გასტუმრების შემდეგ 1,2 მილიონი დოლარი მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

საქართველო ბულგარეთთან ამხანაგურად ითამაშებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ გუნდს მიმდინარე წლის სექტემბერში ამხანაგური მატჩი დაუგეგმა – ვილი სანიოლის გუნდი სტუმრად ბულგარეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. თამაში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, ვასილ ლევსკის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 8 სექტემბერს გაიმართება.

ამხანაგური თამაშის შესახებ კომენტარი სფფ-ის ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა გააკეთა:

– ჩვენთვის ყველა სანაკრებო პაუზის გამოყენება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ეროვნულმა ნაკრებმა რაც შეიძლება მეტი შეხვედრა ჩაატაროს და მწვრთნელმა ბევრ მოთამაშეს მისცეს თამაშის შანსი.

მოგეხსენებათ, რომ ბულგარეთის წინააღმდეგ გასამართ შეხვედრამდე ჩვენი გუნდი ორ ოფიციალურ მატჩს გამართავს, ამხანაგურ თამაშს კი მთავარი მწვრთნელი იმ ფეხბურთელების სანახავად გამოიყენებს, რომლებსაც ოფიციალურ მატჩებში ნაკლები დრო მიეცემათ.

საქართველოს ნაკრები სექტემბერში 2 ოფიციალურ შეხვედრას გამართავს. ვილი სანიოლის გუნდი 2 სექტემბერს ბათუმის სტადიონზე კოსოვოს ნაკრებს უმასპინძლებს, 5 სექტემბერს კი სტუმრად ესპანეთს დაუპირისპირდება.

მამუკელაშვილი დრაფტისთვის ემზადება

ქართველი კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი ნბა-ს 2021 წლის დრაფტისთვის ემზადება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჩვენებურს მეორე რაუნდში აირჩევენ, მაგრამ თავად სანდრო თვლის, რომ იგი საუკეთესო 30 ახალგაზრდას შორისაა.

სანდრო მამუკელაშვილი:

– ვფიქრობ, ამ დრაფტზე ერთ-ერთი ყველაზე დაუფასებელი კალათბურთელი ვარ. შემიძლია, ტოპ 30 ახალგაზრდას შორის ვიყო, თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, დრაფტი როგორ ჩაივლის. აღტაცებული ვარ და ღონისძიებით სიამოვნებას მივიღებ, თუმცა აუცილებლად შევეცდები, ყველას დავუმტკიცო, რომ მაქვს ის, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი იყო.

დრაფტი 30 ივლისს, თბილისის დროით 04:00 საათზე დაიწყება. რამდენიმე უცხოურმა გამოცემამ მამუკელაშვილის შესახებ დაწერა, რომელთა მიხედვით, „მამუ“ 2021 წლის დრაფტის საუკეთესო ცენტრებს შორისაა.

– მამუკელაშვილი უნიკალური ახალგაზრდაა. იგი 211 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე კალათბურთელია, რომელიც ბურთს კომფორტულად ატარებს, „პიკ ენდ როლებისას“ კარგად გამოიყურება და პერიმეტრზე აწევით მეტოქის დაცვის გაწელვა შეუძლია. ქართველი კალათბურთელი სეტონ ჰოლში გატარებულ მეოთხე სეზონში საშუალოდ 17.5 ქულას აგროვებდა და ფლეიმეიქერობის მხრივ სერიოზული პროგრესი ჰქონდა. მას ათლეტურობა აკლია და მისი დაცვაში თამაში კითხვის ნიშნებს აჩენს, თუმცა მისი უნივერსალობა საინტერესო და დამაინტრიგებელ კანდიდატად აქცევს.

ამასობაში დრაფტის წინ იესპიენმა მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც სანდრო მამუკელაშვილი 59-ე ნომერია და ამერიკული გამოცემა მას ბრუკლინ ნეთსს უკავშირებს.

რეალი ფულს მბაპესთვის აგროვებს

ესპანური მედიის ინფორმაციით, მადრიდის რეალმა მანჩესტერ იუნაიტედთან რაფაელ ვარანის თაობაზე მოლაპარაკების დროს პოლ პოგბას ბარტერის შემოთავაზებაზე უარი განაცხადა.

რეალი ვარანის სანაცვლოდ 50 მილიონ ევროს მიიღებს. როგორც ირკვევა, რეალს ფული სჭირდება და პოგბაზე უარი ამის გამო თქვა. მადრიდელები თანხებს კილიან მბაპეს ტრანსფერისთვის აგროვებენ.

მადრიდული კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ფინანსურად მბაპეს ტრანსფერისთვის ემზადება და კლუბი სატრანსფერო ფანჯრისას სხვა ფეხბურთელის გაფორმებაზე არც კი ფიქრობს.

თუ პსჟ მბაპეს ახლა არ გაყიდის, მომდევნო ზაფხულს მისი უფასოდ გაშვება მოუწევს, რადგან ფეხბურთელმა ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი თქვა.

საქართველოს სამხრეთ აფრიკა ეწვევა

1 აგვისტოს საქართველოში სამხრეთ აფრიკის 18-წლამდე ნაკრები ჩამოდის, რომელთანაც უმცროსი ბორჯღალოსნები 3 ტესტ-მატჩს გამართავენ. თამაშები 7, 11 და 14 აგვისტოს შევარდენზე, თელავსა და მარტყოფში გაიმართება.

კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე, სტუმრებსა და საქართველოს ნაკრებს გარკვეული დროით თვითიზოლაციაში მოუწევთ ყოფნა. სტუმრები იზოლაციაში – მარტყოფის, ხოლო საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები „შევარდენის“ ბაზაზე ჩაიკეტებიან და ყოველი მატჩის წინ როგორც მოთამაშეებს, ასევე მენეჯმენტსა და ბაზის მომსახურე პერსონალს კოვიდტესტები ჩაუტარდებათ.

უმცროსი ბორჯღალოსნები ოქტომბერში კალინინგრადში გასამართი რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და სამხრეთაფრიკელებთან 3 ჯახი ამ ტურნირისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილება. გარდა რაგბი ევროპის ჩემპიონატისა, 2022-23 წლების მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის მოსამზადებლადაც განიხილება.

სამხრეთ აფრიკა საქართველოს 38 მოთამაშითა და სტაფის 8 წარმომადგენლით ეწვევა. მათი რაგბი კავშირის დირექტორი რასი ერასმუსი ამბობს, რომ ამ ტურნეს მომავალი „სპრინგბოქსელების“ მომზადების კუთხით დიდი ყურადღება ეთმობა.

თამაშები რაგბი ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის წესებით ჩატარდება. გუნდებს განაცხადში 26-26 მოთამაშე ეყოლებათ და მარქაფაში მყოფი 11 მორაგბიდან შეცვლაზე მხოლოდ 8 შევა. ტაიმების ხანგრძლივობა 35 წუთია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

პოლიციელმა მამაკაცი ჩიპსების პაკეტის დახმარებით გადაარჩინა

ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში პოლიციელმა დაჭრილი მამაკაცის სიცოცხლე ჩიპსების პაკეტისა და წებოვანი ლენტის დახმარებით იხსნა.

პოლიციელი რონალდ კენედი დანით დაჭრის თაობაზე მიღებულ შეტყობინებაზე ჰარლემში ლენოქს ავენიუზე მივიდა. სამართალდამცავის სამხრე კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, როგორ გადავიდა ის მანქანიდან და გამვლელს ჩიპსების პაკეტი სთხოვა, შემდეგ მისი შიგთავსი გადმოყარა, ხოლო გამვლელს სთხოვა, იქვე მაღაზიაში შეერბინა და წებოვანი ლენტი ეყიდა.

ამის შემდეგ ის დაჭრილ მამაკაცთან მივიდა. დაშავებულმა მას უთხრა, რომ ფილტვი ჰქონდა დაზიანებული. კენედიმ უპასუხა, რომ მისთვის ეს ცნობილი იყო და სთხოვა, შეძლებისდაგვარად მოშვებულიყო. შემდეგ მან ორი თვითმხილველის დახმარებით დაშავებული დააწვინა, ჩიპსების პაკეტი ჭრილობაზე მიაწება და ყველანაირად ცდილობდა, დაშავებულს გონება არ დაეკარგა.

შემთხვევის ადგილზე მალე სხვა პოლიციელები და სასწრაფო დახმარება მივიდნენ. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულებაში ექიმმა კენედის მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ არ დაიბნა, რამაც მამაკაცს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

გოგონა მეგობარი მამაკაცის საყვარლებთან ერთად სამოგზაუროდ წავიდა

აშშ-ში ორმა გოგონამ აღმოაჩინა, რომ ერთსა და იმავე მამაკაცს ხვდებოდნენ, რომელსაც, მათ გარდა, კიდევ ოთხი საყვარელი ჰყავდა.

21 წლის მორგან ტეიბორი მეგობარი მამაკაცის ღალატში 2020 წლის დეკემბერში დაეჭვდა. ის შეეცადა, მტკიცებულებებისთვის სოციალურ ქსელებში მიეგნო და შედეგად მის მეორე საყვარელზე, 19 წლის ები რობერტსზე გავიდა. მათ ერთმანეთი გაიცნეს და უკვე ერთად მოძებნეს სხვა ქალები, რომლებსაც მამაკაცი ასევე ატყუებდა.

ტეიბორმა, რობერტსმა და 18 წლის ბეკა კინგმა, რომელიც მამაკაცს 2020 წლის ზაფხულიდან ხვდებოდა, გადაწყვიტეს, მოღალატე მიეტოვებინათ და ერთად გაემგზავრნენ ქვეყანაში სამოგზაუროდ. ამისთვის მათ ძველი სკოლის ავტობუსი იყიდეს, მის შეკეთებას ათი კვირა მოანდომეს და მოხერხებულ ბორბლებიან სახლად აქციეს. მოგზაურობის საკუთარ შთაბეჭდილებებზე ისინი ინსტაგრამსა და ტიკტოკში ყვებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

კახი მამულაშვილი: „სახელმწიფო ჩვენს სფეროს საერთოდ არ დაეხმარა“

პროდიუსერი კახი მამულაშვილი, იგივე მამულიჩა, აცხადებს, რომ სახელმწიფო შოუბიზნესს პანდემიის პერიოდში საერთოდ არ დახმარებია:

– ბოდიში, მაგრამ სულ ვასრულებთ ამ რეგულაციებს.

შარშან სახლში დავსხედით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ჩვენს სფეროს საერთოდ არ დაეხმარა.

წელს ავიცერით, იმიტომ, რომ მუშაობა დაგვეწყო და გვეუბნებიან, თუ სხვები არ აიცრებიან, არ იმუშავებთო. ანუ რა უნდა ვქნათ?

ტორესა მოსიმ „ლიტერას“ კონკურსიდან საკუთარი წიგნი მოხსნა

მწერალმა ტორესა მოსიმ თავისი წიგნი „ორდროშობანა“ ლიტერატურული პრემია „ლიტერადან“ მოხსნა. ორგანიზატორებმა რჩეული წიგნების გრძელი სია გამოაქვეყნეს და ამ სიაში ტორესა მოსის წიგნიც აღმოჩნდა:

– გრძელ სიაში ჩემი „ორდროშობანაცაა“, თუმცა, როგორც უკვე განვაცხადე, უარს ვამბობ კულტურის სამინისტროს დაფინანსებულ ნებისმიერ პროექტში მონაწილეობაზე. უკვე ველაპარაკე ჩემს გამომცემელს და, შესაბამისად, „ორდროშობანა“ მოიხსნება „ლიტერადან“.

წულუკიანს არ ვიკადრებ მე. სანამ ეგ ქალია კულტურის მინისტრი, სრულ ბოიკოტში ვიქნები მაგ უწყებასთან.

შავი ზღვის სანაპიროს დაცულ ტერიტორიებს იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სახელი მიენიჭა

იუნესკოს ინტერნეტფორუმზე შავი ზღვის სანაპიროს დაცულ ტერიტორიებს იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სახელი მიენიჭა.

ინფორმაცია ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– გასაოცარი რამ მოხდა იუნესკოს ინტერნეტფორუმზე: განაცხადიდან 2 წლის თავზე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს დაცულ ტერიტორიებს – კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებს, კინტრიშისა და ისპანის (ქობულეთის) დაცულ ტერიტორიებს იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სახელი მიენიჭა.

საინტერესოა, რომ იუნესკოს სიაში აქამდე საქართველოს მხოლოდ ისტორიულ-კულტურული ძეგლები იყო – მცხეთა-ჯვარი-სვეტიცხოველი, ბაგრატი-გელათი, უშგული-ზემო სვანეთი.

დაცული ტერიტორიები კი არა მხოლოდ საქართველოდან, კავკასიიდან პირველია, ხსენებული სახელი რომ მიენიჭა.

ეს ჩვენი ბუნების სასიამოვნო აღიარებაა და, დიდი იმედი მაქვს, ამ სიას მალე, ვთქვათ, ვაშლოვანი და სხვა ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები, მაგალითად, ვარძია, შატილი, აბულის ციხე და სხვები შეემატება. ვულოცავ საქართველოს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

გოგონას პისტოლეტით სელფის გადაღება სიცოცხლის ფასად დაუჯდა

ინდოელი გოგონა ცეცხლსასროლი ჭრილობისგან გარდაიცვალა, რომელიც იმ დროს მიიღო, როდესაც პისტოლეტით სელფის გადაღებას ცდილობდა.

აღნიშნული ინციდენტი ხარდოში მოხდა. 26 წლის გოგონამ იარაღი აიღო და არ უფიქრია, რომ ის შეიძლება დატენილი ყოფილიყო. გოგონა პისტოლეტით ხელში პოზირებდა და სმარტფონით სელფის გადაღებას ცდილობდა. ის უმძიმესი ჭრილობით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

გოგონას ცხედარი სამედიცინო გამოკვლევაზე იქნა გადაგზავნილი. ექიმები კი აცხადებენ, რომ გოგონას ერთადერთი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და სხეულზე რაიმე ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლაშა ბექაური ოლიმპიური ჩემპიონია

ახალი სახელი მსოფლიო ძიუდოს მწვერვალზე

ტოკიოს 32-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ძიუდოისტმა ლაშა ბექაურმა 90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალში გერმანელი ედუარდ ტრიპელი დაამარცხა და იაპონიის დედაქალაქში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

ბექაურმა ფინალში ჩინებულად იჭიდავა, დასაწყისშივე მეტოქეს ვაზარი აართვა, დარჩენილი დრო კი კარგად წარმართა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

ოქროსკენ მიმავალ გზაზე ბექაურმა პოლონელ პიოტრ კუჩერას ვაზარი აართვა, მალევე კი მეტოქე შებოჭვაზეც დაიჭირა და სუფთა გამარჯვება იზეიმა. მერვედფინალში ბექაური ისრაელის ნაკრების წარმომადგენელ ლი კოჩმანთან მდევრის როლში აღმოჩნდა – მეტოქეს ვაზარი ჰქონდა, მაგრამ იმავე ილეთზე 2-ჯერ დასცა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. მეოთხედფინალში ქართველმა ძიუდოისტმა უზბეკი დავლატ ბობონოვი ვაზარზე დასცა, მაგრამ მსაჯებმა გადაამოწმეს, უზბეკის მხრიდან თავის სახიფათოდ დაცვაც დაინახეს და მისი მოხსნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ბექაურს მძიმე შეხვედრა ჰქონდა ნახევარფინალში, სადაც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წევრი მიხაილ იგოლნიკოვი ტატამზე ვაზარით დასცა.

ლაშა ბექაური:

– ზურაბ კახაბრიშვილი მსოფლიოში საუკეთესო ექიმია. ერთი თვის წინ ბუდაპეშტში მხარზე საშინელი ტრავმა მივიღე და მეშინოდა, რომ ტოკიოში ვერ წავიდოდი. მადლობა მას, რომ დღეს თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ტოკიოში ჩემი საუკეთესო ძიუდოს ჩვენების საშუალება მომეცა. ახლა ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. ცხოვრება მშვენიერია.

ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენი უკვე დააფასა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც ასეთი შინაარსის ტექსტი გამოაქვეყნა:



„ლაშა ბექაურმა ეს გააკეთა!! ფეთქებადი ტექნიკითა და მგზნებარე საბრძოლო სულისკვეთებით ქართველი სპორტსმენი სახლში ოლიმპიური ოქროს მედლით ბრუნდება.

ეს ნამდვილად დასკვნითი ბლოკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბრძოლა იყო. დაპირისპირება სწრაფი ტემპით დაიწყო. როდესაც ბექაურმა ვაზარი შეასრულა, მეტოქემ უკვე იცოდა, რომ დაბრუნება საკმაოდ რთული იქნებოდა.

გერმანელი ძიუდოისტი ყველაფერს ცდილობდა, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი მისგან თავს შორს იჭერდა და ბრძოლის დასასრულს ბექაურმა ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ეს ახალი სახელია მსოფლიოს მწვერვალზე მომდევნო 3 წლის განმავლობაში“.

გეტყვით იმასაც, რომ ჩემპიონ-პრიზიორების დაჯილდოებაზე ლაშას ოქროს მედალი ლანგრით ხორვატიის ყოფილმა პრეზიდენტმა კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩმა მიართვა.

გუშინვე ნიკოლოზ ბასილაშვილმა ბევრი იბრძოლა ფავორიტად შერაცხულ გერმანელ ალექსანდრ ზვერევთან, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა – 4:6; 6:7.

ზვერევმა თამაში მძლავრი ჩაწოდებებით დაიწყო და ბასილაშვილი ვერაფერს უხერხებდა, თუმცა თავადაც კარგად აწვდიდა და დიდი ხანი ანგარიში თანაბარი იყო, მაგრამ მე-10 გეიმში საკუთარი ჩაწოდება დათმო და სეტიც წააგო – 4:6.

მძლავრად დაიწყო ზვერევმა მეორე სეტიც. მატჩის მიწურულს კი დიდი უპირატესობა მიიღო – 5:3 და ჩაწოდებაზე თავად დადგა. თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, მატჩის გადარჩენა შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ სწორედ ეს შეუძლებელი შეძლო ნიკამ – ჯერ სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, შემდეგ უკუბრეიკიც შეასრულა, საკუთარი ჩაწოდებაც მოიგო და ანგარიში გაათანაბრა – 5:5.

ჩოგბურთელებმა კიდევ თითო გეიმი მოიგეს და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. იქ კი ზვერევი ოდნავ უკეთესი იყო, ნიკამ მაინც გაიბრძოლა, კიდევ ერთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო და მატჩი დათმო.

გიორგი კოხრეიძე: „მთავარი ოცნებაა, ნაკრებში მოვხვდე“

თბილისის დინამოსთან ერთად, ქართველი ფეხბურთელების ერთ-ერთი ექსპორტიორი დედაქალაქური საბურთალოა. გუნდმა ყოფილი კაპიტანი, გუნდის ლიდერი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გიორგი კოხრეიძე საფრანგეთში გაუშვა.

კოხრეიძე ლიგა 2-ის გუნდ გრენობლის შემადგენლობაში გააგრძელებს კარიერას. ეს გუნდი ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს იქიდან ემახსოვრებათ, რომ იქ ჩვენი ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა თამაშობდა.

კოხრეიძემ ბოლო პერიოდში მძიმე ტრავმა გადაიტანა, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის მოშუშებული და საფრანგეთში დებიუტის მოლოდინშია.

გიორგი კოხრეიძე:

– ჯანმრთელობით უკეთ ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ ინდივიდუალური პროგრამით ვვარჯიშობ. რამდენიმე დღეში გუნდთან ერთად დავიწყებ საწვრთნელ პროცესს. მეუბნებიან, რომ დაახლოებით ერთ თვეში უკვე თამაში შემეძლება, მაგრამ ყველაფერი მაინც ჩემს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. ვისარგებლებ შემთხვევით და საბურთალოს საექიმო შტაბს მადლობას გადავუხდი, რომლებიც თავიანთ საქმეზე უზომოდ შეყვარებულები და პროფესიონალები არიან. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მალე ფეხზე დავმდგარიყავი.

– ცხოვრების ახალ ეტაპზე გადახვედი. როგორ შეეწყვე ახალ გარემოს, ადაპტაცია ხომ არ გიჭირს?

– ძალიან ლამაზი და მთიანი ქალაქია. ჯერჯერობით სასტუმროში ვცხოვრობ, მაგრამ რამდენიმე დღეში სახლს გადმომცემენ და საცხოვრებლად იქ გადავალ. ამ ეტაპზე ვარჯიშების დროს ინგლისურად მაქვს კომუნიკაცია, მაგრამ უკვე შემირჩიეს მასწავლებელი და მომავალი კვირიდან ფრანგულის სწავლას შევუდგები.

– საფრანგეთში ჩასვლისთანავე კლუბის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად წარგადგინეს. როგორ დაგხვდნენ ადგილობრივები?

– ძალიან თბილ გარემოში მოხდა ეს ყველაფერი. ოფიციალური წარდგენის შემდეგ სტადიონი დამათვალიერებინეს, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაიხსენეს ჩემ მიერ გატანილი გოლი საფრანგეთის 21– წლამდელთა ნაკრების კარში, ასევე გამაცნეს ფანკლუები, რომელიც გუნდს წარმატებასა თუ გასაჭირში ყოველთვის გვერდში უდგას.

– საფრანგეთის ლიგა 2 დაიწყო. როგორია წლეულს გრენობლის გეგმები?

– პირველი მატჩი და ზოგადად ჩემპიონატის სტარტი ყოველთვის ჭირს. რამდენიმე ტურს გამოვტოვებ, შემდეგ მეც შევუერთდები გუნდს და იმ მიზნების მიღწევაში დავეხმარები, რომლებიც აქვს – ეს უძლიერესთა რიგებში დაბრუნებაა და ამის შესაძლებლობა ნამდვილად გააჩნია. შარშანდელი ბირთვი შენარჩუნებულია. ალბათ იცით, რომ გრენობლი გასულ წელს ფლეი ოფში დამარცხდა, არადა, ახლოს იყო მიზანთან.

– როგორ მოხდა საფრანგეთში შენი ტრანსფერი?

– სიმართლე გითხრათ, ასე უცებ წასვლას არ ველოდი. მძიმე ტრავმა მქონდა. რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ დავიწყე თამაში, მაგრამ ისევ გამიმიზეზდა. ინდივიდუალურად უკვე ვვარჯიშობდი, როდესაც ეს ვარიანტი გამოჩნდა. მე რომ გრენობლში ჩავირიცხე, საბურთალოს ხელმძღვანელების უდიდესი დამსახურებაა. ძალიან დამეხმარნენ და ყველანაირად ხელი შემიწყვეს. ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს საბურთალოსთან, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მადლობა ხელმძღვანელობას, მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებთან ერთადაც მიმუშავია.

– ბავშვობა გაიხსენე. როდის დაინტერესდი ფეხბურთით?

– 6 წლის ვიყავი, როდესაც ფეხბურთზე შევედი. ვარჯიში იბერიაში იუზა წილოსანთან დავიწყე. პირველი ნაბიჯები სწორედ მასთან იყო. საწყის ეტაპზე ფეხბურთი მან შემაყვარა. 14 წლისა უკვე საბურთალოს აკადემიაში გადავედი ვოვა მუსერიძესთან. თავდაპირველად მე-3 გუნდში მოვხვდი, მაგრამ ნელ-ნელა გავიარე ყველა ეტაპი, მალე კი პირველ ლიგაში აღმოვჩნდი. გიორგი ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით უკვე უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებაც მოვიპოვე. უძლიერესთა რიგებში რომ ვითამაშე პირველად, 16 წლის ვიყავი. ჭიაბრიშვილთან მუშაობამ ბევრი რამ მასწავლა. მასთან ჩამოვყალიბდი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი. საბურთალოს შემადგენლობაში მოვიგე 3-ვე ტიტული – გავხდი ჩემპიონი და თასის გამარჯვებული, ასევე – სუპერთასის მფლობელიც.

– ფაქტობრივად, ყველა ასაკობრივ ნაკრებში გითამაშია, გარდა ეროვნული ნაკრებისა. როგორ ფიქრობ, როდის დადგება დრო, როდესაც ქვეყნის პირველი ნაკრების მაისურს მოირგებ?

– დიახ, ყველა ასაკობრივ ნაკრებში მაქვს ნათამაშები. ახლა ჩემი მთავარი ოცნებაა, მოვხვდე საქართველოს ნაკრებში. რა თქმა უნდა, იქამდე კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო, მაგრამ არც ეს დღეა შორს. იმედია, მალე ჩავდგები ჩვეულ ფორმაში, დავიმსახურებ გამოძახებას და ოცნებას ავიხდენ.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შედეგები

28 ივლისი

ოლიმპიადა

ფეხბურთი

გერმანია-კოტ დივუარი	1:1
ს.არაბეთი-ბრაზილია	1:3
ს.კორეა-ჰონდურასი	6:0
რუმინეთი-ა.ზელანდია	0:0
ავსტრალია-ეგვიპტე	0:2
ესპანეთი-არგენტინა	1:1
საფრანგეთი-იაპონია	0:4
ს.აფრიკა-მექსიკა	0:3

ჩოგბურთი

კაცები

კარენო ბუსტა-კეპფერი	7:6,6:3
ფონინი-მედვედევი	2:6,6:3,2:6
შვარცმანი-ხაჩანოვი	1:6,6:2,1:6
ივაშკა-ნიშიკორი	6:7,0:6
უმბერტი-ციციპასი	2:6,7:6,6:2
ჩარდი-ბროუდი	7:6,4:6,6:1
ზვერევი-ბასილაშვილი	6:4,7:6
ჯოკოვიჩი-დავიდოვიჩფოკინი	6:3,6:1

ქალები

ჯორჯი-სვიტოლინა	4:6,4:6
პავლუჩენკოვა-ბენჩიჩი	0:6,6:3,3:6
რიბაკინა-მუგურუზა	7:5,6:1

ხელათბუნები

კაცები

ნიგერია-გერმანია	92:99
აშშ-ირანი	120:66
იტალია-ავსტრალია	83:86
ჩეხეთი-ფინეთი	77:97

27 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

საკვალიფიკაციო ეტაპი

ომონია-დინამო (ზ)	0:1
ფლორა-ლეგია	0:1
ჰიკი-მალმიო	2:2
ჟალგირისი-ფერენცვაროში	1:3

უეფას კონფეხენციის ლიგა

ინტერი-ტეუტა	0:3(დდ)
ჰიბერნიანსი-ფოლგორე	4:2
ბუდუჩნოსტი-ტორსჰავნი	0:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 3. ქალაქი იმერეთში; 4. ქვით ნაგები ღობე; 5. ვულკანი სიცილიაში; 6. სრული უწესრიგობა, არეულობა; 9. რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების დამტკიცება; 10. ფრანგული არაყი; 11. უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 14. მარადმწვანე ხე-ბუჩქი; 16. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში; 18. მძლავრი ინტენსიური ნათების მქონე კოსმოსური სხეული; 20. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 23. პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში; 24. საკონდიტრო ნაწარმი; 25. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 26. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

თარაზულად: 7. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 12. ინგლისის ნავსადგური პადე-კალეს სრუტეში; 13. სათამაშო ქაღალდი; 15. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 17. აეროპორტი რომში; 19. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 27. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 28. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ღვენთი; 2. ბრამსი; 3. ბარტოლდი; 4. სეგუნი; 6. პარასოლი; 8. არემჯი; 11. კაბოშონი; 12. დემეტრე; 16. ბელგა; 17. კეინი; 18. სპიჩი.

თარაზულად: 1. ღრუბელი; 5. სტეპი; 7. სალომეა; 9. ნეიმარი; 10. ბულიმია; 13. ჯანდარა; 14. შაგალი; 15. სენა; 19. ვერდერი; 20. ფელამუში; 21. სამთავისი; 22. ქოქოსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტემპი; 2. ოხორი; 3. გლისერი; 4. ნივა; 5. სოჭი; 6. გრანიტი; 9. ზურაბიშვილი; 10. წინანდალი; 11. მანდოლინა; 14. ქართუ; 16. ბრიჯი; 18. ამირანი; 20. მოლუსკი; 23. დასი; 24. ბონზა; 25. სქემა; 26. ფეტა.

თარაზულად: 7. ალტრუიზმი; 8. იონოსფერო; 12. გენია; 13. ლაციო; 15. ალაფი; 17. რქაწითელი; 19. როვნო; 21. ფიალა; 22. გნოლი; 27. ანდერსენი; 28. ტექტონიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1052

ევრო — 3.6663

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3091

100 რუსული რუბლი — 4.2235

ამინდის პროგნოზი 29 ივლისისათვის



ილაიშ მორიბა ბარსელონას არ დატოვებს



ბარსელონის ახალგაზრდა ნახევარმცველი ილაიშ მორიბა გუნდს არ დატოვებს და უახლოეს მომავალში ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

მორიბას კონტრაქტი 5-წლიანი იქნება.

მორიბა ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ნახევარმცველად ითვლება და მისი შეძენა ბევრ გუნდს სურდა.

ბაიერნი ლევანდოვსკის გაყიდვას არ აპირებს

მიუნხენის ბაიერნის პოლონელი ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი უახლოეს მომავალში გუნდის დატოვებას არ აპირებს. მას ბაიერნთან ორი წელი აკავშირებს.

უცნობია, გააფორმებს თუ არა ლევანდოვსკი ბაიერნთან ახალ კონტრაქტს, მაგრამ ფაქტია, რომ ბაიერნი მის გაყიდვას არ აპირებს.

ლევანდოვსკის შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურდა, მათ შორის მანჩესტერ იუნაიტედს.

დავიდ ალაბას კორონავირუსი დაუდასტურდა

მადრიდის რეალის ავსტრიელ ახალწვეულ დავიდ ალაბას კორონავირუსი დაუდასტურდა და იზოლაციაში იმყოფება. სწორედ ამის გამო ის რეალის რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამოტოვებს.

ალაბას გარდა, კორონავირუსი აქვს კარიმ ბენზემასაც, რომელიც უკვე კვირაზე მეტია, კარანტინში იმყოფება.

სავარაუდოდ, ის მალე უნდა გამოჯანმრთელდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მოზარდი შიშველი ხელებით შეერკინა ლომს და საკუთარი და გადაარჩინა

ზიმბაბველი მოზარდი ლომს შეებრძოლა, რომელიც მის დას თავს დაესხა და გადაარჩინა.

აღნიშნული ინციდენტი პროვინცია მანიკალის ჩისუმბანიეს ოლქის სოფელში მოხდა. 14 წლის აგნესი საღამოს ქუჩაში გამოვიდა, რათა გარეთ დარჩენილი ქურთუკი სახლში შეეტანა. ამ დროს მას თავს ლომი დაესხა და გოგონას მუხლზე უკბინა.

შეშინებულმა გოგონამ ყვირილი მორთო და მას მისი ერთ-ერთი ძმა გამოეხმაურა. მოზარდმა გარეულ ცხოველს მუშტები დაუშინა და მანამდე ურტყამდა, სანამ მტაცებელი არ გააქცია, თუმცა მტაცებელმა გოგონასთვის ფეხიდან ხორცის ნაწილის ამოგლეჯვა მოასწრო. დაშავებული გოგონას მამამ, რომელმაც შვილის სამკურნალოდ ფულის შეგროვება დაიწყო, განაცხადა, რომ მოგვიანებით ბუნების და პარკების დაცვის რეინჯერებმა მტაცებელს მიაგნეს მეზობელს სოფელში და მოკლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 ივლისისათვის

ვერძი – ნებისმიერი საქმის მოგვარებისას დეტალებს ყურადღება მიაქციეთ. სიფიცხე და მოუთმენლობა უსიამოვნებამდე მიგიყვანთ. ** კურო** – დღეს შესაძლოა რჩევისათვის მოგმართონ. თქვენი პირადი გამოცდილების გაზიარება დიდ სამსახურს გაუწევს მათ, ვისაც ეს სჭირდება. **ტყუპები** – საქმიანი მოლაპარაკებები შეგიძლიათ დღესვე დაიწყოთ. პარტნიორული ურთიერთობები საკმაოდ ნაყოფიერი იქნება. **კირჩხიბი** – საეჭვო საქმეებში ჩარევისაგან თავი შეიკავეთ. დღეს შეძლებთ, ფორტუნა თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნოთ. **ლომი** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა უსიამოვნებაში გაგხვევთ. დაგროვილი პრობლემები დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. **ქალწული** – ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციები მოთოკეთ. მოვლენების არსს ახლებურად შეხედეთ. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გარშემომყოფების დარწმუნებას იოლად შეძლებთ და მათ თქვენ მიმართ ნდობით განაწყობთ. **ღრიანკალი** – ჩანაფიქრის რეალიზება გაგიძნელდებათ. ნუ გარისკავთ და ნუ იაქტიურებთ. **მშვილდოსანი** – გაღიზიანებული და განერვიულებული ხართ. იფრთხილეთ და ემოციების გამოვლენისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **თხის რქა** – მეტისმეტი აქტიურობა რეკომენდებული არ არის. გარშემომყოფებს ნუ გააღიზიანებთ. მხოლოდ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულეთ. **მერწყული** – არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თქვენი დახმარება და თანაგრძნობა სჭირდებათ. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაუფიქრებელ და სპონტანურ გადაწყვეტილებას დღეს ცუდი შედეგი მოჰყვება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა დაგემართა, რა შეწუხებული სახე გაქვს?

– ავად ვარ.

– მერე, ექიმთან რატომ არ მიდიხარ?

– სიცოცხლე ჯერ არ მომბეზრებია...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორც ყოველთვის, მეხუთე ჭიქის შემდეგ საქონელს ემსგავსები!!!

– რას მერჩი, არ დამილევია!

– სამაგიეროდ, მე დავლიე!

●●●

ექიმი ქალ პაციენტს ეუბნება:

– უფრო მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და უფრო თბილად ჩაიცვი.

სახლში დაბრუნებული ქალი ქმარს ეუბნება:

– ექიმმა ზღვაზე დასვენება და თბილი ქურქი გამომიწერა!

●●●

მოხუცი ქალი აფთიაქში გამყიდველ გოგონას ეუბნება:

– გოგონი, შვილო! აი, ის ჩემი თავის ტკივილის წამალი მინდა, ლურჯზოლიან თეთრ კოლოფში რომ დევს.

– რას ამბობთ, ეგ ხომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებია!

– ვიცი, შვილო! დილით შვილიშვილს ჩაიში ვუყრი და მერე მთელი დღე თავის ტკივილი აღარ მაწუხებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანდრია გველესიანი ფილმში გადაიღეს

ახმეტელის თეატრის მსახიობი ანდრია გველესიანი სრულმეტრაჟიან ფილმში გადაიღეს. მისი დებიუტი ქართულ-ყაზახური ფილმის პრემიერაში შედგება:

– და ჩემი დებიუტიც სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმში შედგა! სულ მალე... პირველი ქართულ-ყაზახური კინოპროექტის პრემიერა! გიორგი კიკალიშვილის ფილმი „მეტი, ვიდრე სიყვარული“. ბედნიერი ვარ, რომ მთავარი გმირის ახალგაზრდობის თამაში მერგო, რომელსაც ბუბა კიკაბიძე ასრულებს. ასე რომ, მოემზადეთ! საინტერესო ფილმი გელოდებათ!

საბა საფარელს გულს სტკენენ

ქუჩის მუსიკოსსა და მომღერალს საბა საფარელს გულს სტკენენ:

– მათთვის, ვისაც გაინტერესებთ, რას ვფიქრობ იმ „შეფასებებზე“, რომლებსაც დიდი აღტყინებით წერენ მავანნი ჩემს გამოსვლებზე სხვადასხვა ტელევიზიაში: როგორც ვხვდები, ძალიან განიცდიან, რომ წინ მივიწევ! მათ ვეტყვი, რომ მიხარია უპირველესად ის, რომ ადამიანი ვარ! არასოდეს არავისთვის ძალიან უარყოფითი კომენტარი მე არ დამიწერია, მით უფრო, არასოდეს შეურაცხყოფა არ მიმიყენებია მხოლოდ იმის გამო, რომ აღფრთოვანებული ვერ დავრჩი ვინმეს ნამღერით.

„გულშიც არ იმღერო, გული გეტკინება“, „არც ხმა გაქვს, არც სმენა, არც ნამუსი, რომ მღერი?!“ „ასე ხომ მეც ვმღერი, ოღონდ აბაზანაში“...

არ გაჩერდეთ! მე იმდენს ვფიქრობ თქვენს ამ სიძულვილზე ჩემი წარმატებისადმი, რამდენსაც ბაყაყი – ვარსკვლავებზე...

მე დღეს უკეთესად ვმღერი, ვიდრე ვმღეროდი და ყოველდღე ვუმატებ. მე ვმღერი წლინახევრიდან და ვმღერი ვიღაცებზე კარგად და ვიღაცებზე ნაკლებად და ეს ნორმალურია. მე არ ვიმეორებ არავის ტემბრსა და არავის მანერას, ვარ საკუთარი თავი! რაც ხაზგასმით მინდა ვთქვა – არავის ვეჯიბრები!

მღერა იუთუბიდან არ მისწავლია თქვენსავით და არასდროს არავისთვის მიმიბაძავს, მყავდა პროფესიონალი პედაგოგები და მათ ხელში გავიარე მთელი ბავშვობა: ლია სარაშვილი, ნინო ბლიაძე, შოთა ალთუნაშვილი, მარინა მჭედლიძე. რაც ყველაზე მეტად მაბედნიერებს, მე მომისმენია პროფესიონალების შეფასება ჩემს შესრულებასთან დაკავშირებით და არც ერთი მათგანი არ ყოფილა ასეთი რადიკალური. ვიდრე ცოცხალი ვიქნები, იქამდე ვიმღერებ კიდეც.

ჯემალ ღაღანიძე კახა კალაძეს ღია წერილით მიმართავს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ჯემალ ღაღანიძე თბილისის მერობის კანდიდატ კახა კალაძეს ღია წერილით მიმართავს:

– მოგესალმებათ და ყოველივე კარგს გისურვებთ 88 წლის მოხუცი ჯამბაზი ჯემალ ღაღანიძე. მართალია, დიდმა ეროსიმ „ღანირსკი“ შემარქვა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით, მე ძირძველი თბილისელი ვარ, უფრო მეტიც, თბილისში სამშობიაროდან რომ გამომიყვანეს, რომელ სახლშიც, რომელ საწოლშიც დამაწვინეს, იმ სახლში ვცხოვრობ. მართალია, რომ დავქორწინდი, ერთსაწოლიანი ორსაწოლიანად გადავცვალეთ.

მე ამას იმიტომ გიყვებით, რომ მინდა იცოდეთ, ჩემი არსებობის პერიოდში ბევრი ქალაქის მერი გამოიცვალა ჩვენმა საყვარელმა თბილის-ქალაქმა. მათ შორის ბევრი ახალგაზრდა, ბევრი ხანდაზმული და ჩემი თაობის ადამიანი იყო. ყველამ თავისებური კვალი დატოვა თბილისის აღმშენებლობაში, რისთვისაც თბილისელები დიდ მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს.

მაგრამ არის ასეთი გამოთქმა: „მჯობნზე მჯობნი არ დაილევაო“. რაც თქვენ გააკეთეთ და აკეთებთ, არავის არ გაუკეთებია. თქვენ გული და სული ჩადეთ თბილისისა და თბილისელების საკეთილდღეოდ. მე ჩემი პროფესიის მეშვეობით ძალიან ახლოს ვარ ქართველ საზოგადოებასთან, რომელმაც დიდი აღფრთოვანებით მიიღო „ქართული ოცნების“ წინადადება ქალაქის მერად კვლავ თქვენი კანდიდატურის წარდგენის შესახებ. აქ გასაკვირი არაფერია. ამ წინადადებას ალტერნატივა არ გააჩნია.

არ შემიძლია ერთი ამბის უყურადღებოდ დატოვება. იმ დღეს, როდესაც თქვენი კანდიდატურის წარდგენა იყო, თქვენს მოხსენებაში ფრიად ღირსეულად მოიხსენიეთ ჩვენი კოლეგა, მსახიობი კახი კავსაძე. „მე მას ცოცხალ საუნჯეს ვუწოდებდი“. მე, როგორც უხუცესმა მსახიობმა, ეს აღვიქვი თქვენ მიერ ჩვენი პროფესიის მიმართ დიდ დაფასებად, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით.

კვლავ გილოცავთ ქალაქის მერის კანდიდატობაზე წარდგენას და გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით მოემსახურებით ქართველ ერსა და ჩვენს საყვარელ თბილისელებს, ამინ.

გიორგი ლობჟანიძისთვის ქართველი მწერლების ლანძღვა მიუღებელია

პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ლობჟანიძისთვის ქართველი მწერლების ლანძღვა მიუღებელია:

– ამ ბოლო დროს ისე წამოჰკრავენ ხოლმე ხელს და იტყვიან: „მწერლები! ახლა ეგენიც შოთა რუსთაველი ან ვაჟა-ფშაველა იყვნენ!“ და მოაყოლებენ ლანძღვას თანამედროვე ქართული მწერლობისას... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ხალხს საკუთარი მწერლობა ეზიზღება. ამ, მოდი, ზიზღს მაინც ნუ დავარქმევთ და, მიუღებლობას, თავისი არაერთი მიზეზი აქვს, მაგრამ, მაინც მგონია, უპირველესი არის ის, რომ ჩვენი მწერლობის იდეალები და ხალხის რეალური ყოფა ძალზე ასცდა ერთმანეთს. მწერლობამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, 100 წლით მაინც გაუსწრო წინ საზოგადოების განვითარებას.

ვწერ ამას და აქვე ვფიქრობ: თავის დროზე არც ილია ჭავჭავაძე იყო ყველასთვის მისაღები და არც – ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ისინი იყვნენ თავისი თავები... ის კი არა, 24 წლის ილია ჭავჭავაძე უკვე ილია ჭავჭავაძე იყო, მაშინ, როცა „მგზავრის წერილებს“ წერდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთკორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. დამჟავებული ბოსტნეული; 3. ეპიკური პოემა „ილიადას“ ავტორი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 6. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირი; 8. კომპანია „ფიატის“ დამფუძნებელი; 11. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 12. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი, სოპრანო; 16. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში.

თარაზულად: 1. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. კლიენტთათვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 9. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 10. მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა; 13. მდინარე ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 14. ფრანგი კინორეჟისორი; 15. ჩეხური მოტოციკლეტი; 19. სამხაზველო იარაღი; 20. ბიბლიის ნაწილი; 21. ქართული მინერალური წყალი; 22. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა